პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 128 (18670) შაბათი, 4 ივნისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

შრომის ნაყოფიერება

შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა სოციალისტური წარმოების ეფექტიანობისა და სრულყოფის უმნიშვნელოვანესი პირობა, მისი განვითარების ეკონომიკური კანონია.

ვ. ი. ლენინმა მოგვცა მეცნიერულად დასაბუთებული ღრმა ანალიზი იმისა, თუ რა გადამწყვეტი როლი ეკუთვნის შრომის ნაყოფიერებას საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაში, კომუნიზმის მშენებლობაში. „კომუნიზმი არის, — წერდა ვ. ი. ლენინი, — შრომის უმაღლესი, კაპიტალისტურთან შედარებით, ნაყოფიერება ნებაყოფლობით მომუშავე, შეგნებული, გაერთიანებული მოწინავე ტექნიკის გამომყენებელი მუშებისა“.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში შრომის ნაყოფიერების განუხრელ ზრდას საზოგადოებრივი წარმოების ყველა სფეროში ცენტრალური ადგილი უკავია. ეკონომიკური განვითარების საკითხებთან დაკავშირებით სკკპ XXV და XXVI ყრილობებსა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე შემუშავდა მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური პოლიტიკა, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ინტენსიფიკაციის კურსი.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკის ეკონომიკამ განვლილ მეათე ხუთწლედში წარმოების მოცულობის ზრდის მაღალ მიჯნებს მიაღწია. იგი 41 პროცენტით გაიზარდა. ნიშანდობლივია, რომ ეს ზრდა უმთავრესად მიღწეულ იქნა შრომის ნაყოფიერების გაზრდის საფუძველზე, კინაღამ ეკონომიკური კურსი, რომელიც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ დასახა, სწორედ ამას ითვალისწინებდა. ჩვენ მაშინ ამოცანად დავიისახეთ მიგვეღწია ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით საშუალო საკავშირო დონისათვის. მეათე ხუთწლედში შრომის ნაყოფიერების მხრივ რესპუბლიკის მაჩვენებელმა, მაგალითად, მთელი 10 პუნქტით გადაამეტა საშუალო საკავშირო მაჩვენებელს.

შრომის ნაყოფიერება ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაში შარშანაც სწრაფი ტემპით იზრდებოდა და საშუალო საკავშირო მაჩვენებელზე მაღალი იყო.

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მრეწველობამ ვერ უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმით გათვალისწინებული ტემპი. ეს ძირითადად იმით უნდა აიხსნას, რომ ძალიან ხშირი იყო გეგმების კორექტირება, წარმოების მოცულობის საგეგმო დავალებათა შემცირება, რასაც ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო თან არ ახლდა სამრეწველო საწარმოო პერსონალის გეგმური რიცხოვნობის შესაბამისი შემცირება. თითქმის ვერც ერთმა სამინისტრომ და ორგანიზაციამ, რომელმაც შეამცირა წარმოების მოცულობის გეგმა, ვერ უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების ზრდის თავდაპირველად დაწესებული წლიური ტემპი. მათ შორის იყო კვების მრეწველობის სამინისტრო, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტი და საკავშირო დაქვემდებარების მთელი რიგი საწარმოები.

დიახ, ამ მხრივ ჩვენ კიდევ ბევრი რეზერვი გვაქვს გამოუყენებელი. და, რაც არსებითია, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა, ეკონომიკის ეფექტიანობის მთავარი მაჩვენებელი — შრომის ნაყოფიერება ისეთი ტემპით იზრდება, როგორიც ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ მრეწველობის მთელ რიგ დარგებში ამ მხრივ ჩვენ შესამჩნევად ჩამოვრჩით საკავშირო მაჩვენებელს. მართალია, რესპუბლიკის მშენებლობაში შრომის ნაყოფიერების ტემპი 22 პროცენტით გაიზარდა, რაც ორჯერ მეტია საკავშირო მაჩვენებელზე, სამაგიეროდ, ფაქტობრივად მიღწეული ტემპი მთელი 7 პუნქტით დაბალია საგეგმო დავალებასთან შედარებით. ამასთან, შრომის ნაყოფიერების დონით ჩვენი რესპუბლიკის მშენებლობა 11 პროცენტით ჩამორჩება ანალოგიურ საკავშირო მაჩვენებელს.

დიდი პრობლემებია გადასაწყვეტი შრომის ნაყოფიერების ზრდის თვალსაზრისით რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაშიც. აქ ამ უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის დონე ორჯერ უფრო დაბალია, ვიდრე კავშირის მასშტაბით, რაც, ძირითადად, განპირობებულია მექანიზაციისა და შრომის ორგანიზაციის შესამჩნევად დაბალი დონით. შრომის ნაყოფიერების არასაკმარისი ტემპით განვითარების მიზეზები, უპირველეს ყოვლისა, თვით ამ პროცესის მართვის ნაკლოვანებებში უნდა ვეძიოთ, რამდენადაც შრომის ნაყოფიერების ზრდა ერთდროულად მოქმედი მრავალი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმსაზღვრელი ფაქტორის მოქმედების შედეგია (წარმოების ტექნიკური დონის ამაღლება, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფა, სოციალისტური შეჯიბრება და სხვა). მართვის ძირითადი აქცენტი სწორედ ამ ფაქტორების ზემოქმედებაზე უნდა იქნეს გადატანილი.

არარაციონალური მართვის შედეგია ის, რომ სახალხო მეურნეობის დარგებში შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის ჯეროვნად არ გამოიყენება ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიც არის ტექნიკური პროგრესი. მის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების გადიდებას აფერხებს კაპიტალური დაბანდებებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმების შეუსრულებლობა. მაგალითად, რესპუბლიკაში მთლიანად ძირითადი საწარმოო ფონდების ამოქმედების გეგმა 1980 წელს შესრულდა 82 პროცენტით, 1981 წელს — 85 პროცენტით და შარშან — 87 პროცენტით.

ჯერ კიდევ დიდია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში წარმოებისა და შრომის სუსტი ორგანიზაციით გამოწვეული სამუშაო დროის დანაკარგები. ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაში სამუშაო დროის დანაკარგები 1,6-1,7-ჯერ აღემატება საკავშირო მაჩვენებელს. განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა ამ მხრივ მსუბუქი მრეწველობის, მშენებლობის სამინისტროების, საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტისა და ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის სისტემებში. ასევე დიდია კადრების დენადობაც. 1981 წელს კადრების დენადობა მრეწველობაში 2,8 პუნქტით აღემატებოდა საერთო საკავშირო მაჩვენებელს. ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობაა სამშენებლო ორგანიზაციებში.

მეტად დაბალია სამუშაო დროის გამოყენების მაჩვენებელი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში. თუ 1975 წელს კავშირში საშუალოდ ერთმა კოლმეურნემ 243 კაცდღე გამოიმუშავა, 1981 წელს კი უკვე 260 კაცდღე, ჩვენს რესპუბლიკაში აღნიშნულმა მაჩვენებელმა შესაბამისად შეადგინა 164 და 175. საბჭოთა მეურნეობებში კავშირის მასშტაბით ერთი მუშაკის მიერ ამ წლებში საშუალო წლიურად გამომუშავებულია 277 და 278 კაცდღე, რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში კი შესაბამისად მხოლოდ 187 და 195 კაცდღე.

რესპუბლიკაში სახალხო მეურნეობის დარგებში შრომის ნაყოფიერების მართვის სრულყოფის მიმართულებით ამ ბოლო პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. მხედველობაში გვაქვს შრომის ნაყოფიერების მართვის ისეთი ძირითადი ფუნქციების შემდგომი სრულყოფა, როგორიც არის პროგნოზირება, დაგეგმვა, ორგანიზაცია, კონტროლი და აღრიცხვა.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ გაერთიანებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის ნაყოფიერების მართვა ჯერჯერობით ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. სამმართველო აპარატში არ არის გამოყოფილი ერთი რომელიმე განყოფილება თუ სამსახური, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა თავიდან ბოლომდე შრომის ნაყოფიერების მართვისათვის. აქ ჩვენ ვგულისხმობთ შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმების შემუშავებას, ორგანიზაციას, მათი შესრულების კონტროლს, აღრიცხვას და შრომის ნაყოფიერების დაგეგმილი დონის მიღწევაში მმართველობის აპარატის ცალკეულ ქვეგანაყოფთა კოორდინაციას.

ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი შრომის ნაყოფიერების დაგეგმვასა და აღრიცხვაში როგორც დარგის, ასევე მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით. სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ რესპუბლიკის მშენებლობასა და მრეწველობაში დიდი შეუსაბამობაა შრომის ნაყოფიერების საგეგმო დავალებებს (თავდაპირველ დავალებებს), მიმდინარე გეგმებსა (რომლებიც გულისხმობს კორექტირებასაც) და ფაქტობრივ ტემპს შორის ხშირია შემთხვევა, როდესაც მიღწეული ტემპი გაცილებით სწრაფია საგეგმოსთან შედარებით. მაგალითად, შარშან საშენ მასალათა მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა გეგმით გათვალისწინებული 102,6 პროცენტის ნაცვლად 103,9 პროცენტი შეადგინა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ გეგმა დაწესდა შეღავათიანი, ესე იგი, არ იყო გათვალისწინებული ყველა რეზერვი.

რესპუბლიკის სამინისტროებმა, საგეგმო, შრომის სახელმწიფო კომიტეტებმა და ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ შრომის ნაყოფიერების ანალიზის საკითხებს უშუალოდ საწარმოებში, განაზოგადონ შრომის ნაყოფიერების ზრდის მართვის სფეროში მოწინავე საწარმოთა გამოცდილება. სამწუხაროდ, ასეთი ანალიზები, განზოგადებები ჯერ კიდევ ძალზე იშვიათია, ან ხშირად არასრულყოფილი.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მართვის ყველა დონეზე—სამუშაო ადგილით დაწყებული, საამქროს, საწარმოს, სამინისტროს და მთელი დარგის მიხედვით ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის, მოწინავე მეთოდების დანერგვის ღონისძიებანი უშუალოდ უკავშირდებოდეს შრომის ნაყოფიერების ამაღლების შესრულებას.

შრომის ნაყოფიერება ხარისხობრივი მაჩვენებელია და სწორად მართვის პირობებში შესაძლებელია მისი ზრდის უზრუნველყოფა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც წარმოების მოცულობის გეგმები არ სრულდება. ამას მივაღწევთ მაშინ. როდესაც მართვის ოპტიმალური სისტემისა და მეთოდების საშუალებით განუწყვეტლივ (ყოველთვიურად, კვარტალურად, წლიურად) შეგვიძლია ზემოქმედება მოვახდინოთ შრომის ნაყოფიერების ზრდაზე როგორც ცალკეული ფაქტორების მიხედვით, ასევე მთლიანად.

შრომის ნაყოფიერების ამაღლების ამოცანის გადაწყვეტა სამეურნეო მუშაკებისაგან მოითხოვს მისი მართვისადმი კომპლექსურ მიდგომას.

ხუთწლედი: წელი მესამე

ბათუმი

გამარჯვება მხოლოდ თავდადებულ შრომას მოსდევს, ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომელიც! კარგად ესმის საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერ „ზურსონის“ ეკიპაჟს. მის თავდადებას შრომის შედეგიც შესანიშნავი მოჰყვა. ვიტენამის რეისის დროს ეკიპაჟმა შეძლო ტვირთის ორგანიზებული დამუშავების შედეგად საწვავ-საპობი მასალების მნიშვნელოვანი ეკონომია მიეღო და გეგმა 102 პროცენტით შეასრულა.

პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით ხომალდის კოლექტივი სანაოსნოში მეორე ადგილზე გამოვიდა.

ახლა ხომალდს კურსი კუბისაკენ აქვს აღებული. მეზღვაურები ამ რთულ და შორ რეისს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს უძღვნიან.

მ. გორგილაძე.

ქუთაისი

ბამბის საქსოვი საწარმოო გაერთიანების კოლექტივი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა მოსკოველთა პატრიოტულ ინიციატივას — „შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის 25 წლისთავს — 25 დამკვრელური შრომითი კვირა“.

გაერთიანების კოლექტივმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა ხუთწლედის შუაგული წლის პირველი ხუთი თვის დავალებათა შესრულებაში. მთლიანი პროდუქციის წარმოების დავალება აქ 102,3 პროცენტით გაანაღდეს, გეგმის გადამეტებით წარმოებულია 286 ათასი მანეთის პროდუქცია. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოების მოცულობა 4,8 პროცენტით გაიზარდა, შრომის ნაყოფიერება კი 4,8 პროცენტით.

დ. გედენიძე.

სამშობლოს უპატაკა

ჩაება რა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, თერჯოლის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის სამკერვალო საამქროს კოლექტივმა სამშობლოს უპატაკა ექვსი თვის დავალებათა შესრულება. კოლექტივმა დაგეგმილი 1080 ათასი მანეთის პროდუქციის ნაცვლად 1390 ათასი მანეთის ნაწარმი გამოუშვა.

ლაშქრობა უხვი მოსავლისათვის

ეს დღეები ძევრაში

რეპორტაჟი მეხილეობის საბჭოთა მეურნეობიდან



გაზაფხულის პირველი თვე შედარებით დარიანი იყო. აპრილმა კი მოლოდინს გადააჭარბა, მაისი წვიმიანი იყო. ამინდის ჭირვეულობამ დიდი საზრუნავი გაუჩინა მიწათმოქმედებს. ახლა მათს შემართებაზე, ბეჯითი გარჯაზე დიდად არის დამოკიდებული მეთერთმეტე ხუთწლედის შესამე, შუაგული წლის უხვი მოსავლის მიღება.

ამიტომ არის, რომ ძევრელი მშრომელები ერთსულოვნად და საგულდაგულოდ შრომობენ ხეხილის ბაღებში, ბოსტანში, მინდვრად, მეცხოველეობის ფერმებში. ეს გასაგებიც არის. ძევრის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი მოწინავე საზოგადოებრივი მეურნეობაა გორის რაიონში, რომელმაც მეათე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებაზე, რომ არაფერი ვთქვათ, შარშან სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა, რისთვისაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, შესაბამისი პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დაამსახურა.

ეს დიდი ჯილდო მეურნეობის მშრომელებს წლეულს მეტი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს — მათ უთუოდ უნდა შეასრულონ გადიდებული ვალდებულებანი. ამიტომაც ბეჯითად შრომობენ ხეხილის ბაღებში.

მსხმოიარე ბაღების მწკრივთშორისების დამუშავება, სასუქების შეტანა, გასხვლა-ფორმირება და სხვა სამუშაოები ადროვადებში და ხარისხოვნად შესრულდა. მიმდინარეობს ნარგავების მორიგი შეწამვლა და სასუქების შეტანა.

მეურნეობის დირექტორი ვ. სუხიშვილი გვისახელებს მოწინავე ადგილებიანი ბრიგადის მმართველებს ა. დემურხანაშვილს, ტ. ხმიადაშვილს, ბრიგადირებს გ. შევარდაშვილს, გ. ბუხრაძეს, ა. წიქარიძეს, რომლებმაც დროულად და ხარისხოვნად შეასრულეს საგაზაფხულო სამუშაოები.

გ. შევარდაშვილი 20 წელზე მეტია ბრიგადირად მუშაობს. ბრიგადის წევრები, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი რ. ფარეხელაშვილი, ომისა და შრომის ვეტერანი გ. ხუროშვილი, ა. სინჯიაშვილი, დ. მარიამიძე და სხვები მზრუნველობას არ აკლებენ 70 ჰექტარ ბაღებს. შარშან მიღებული 744 ტონის ნაცვლად წლეულს იბრძვიან 800 ტონა ხარისხოვანი ხილის წარმოებისათვის.

მეხილეებს არც მეურნეობის მეცხოველეები ჩამორჩებიან. თამარ ფარეხელაშვილი და ელისაბედ ჯავახიშვილი შესაბამისად 24 და 26 ძროხას უვლიან. შარშან გადაჭარბებით შეასრულეს რძის წარმოების გეგმები. წლეულს საგეგმო 2.600 კილოგრამის ნაცვლად ვალდებულება იკისრეს თითოეულ ძროხაზე 3 ათასი კილოგრამი რძე მოწველონ, პირველ კვარტალში თითოეული ძროხის წველადობამ 500 კილოგრამს გადაამეტა.

ძევრელი მშრომელები ახალი მიღწევებით ხვდებიან გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს.

ვ. გენგიური,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სურათზე: მოწინავე მწველავი თამარ ფარეხელაშვილი.
ფოტო ავტორისა.

სსრ კავშირის მოსახლეობა

„**საბჭოთა** ხელისუფლების 65 წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა 108 მილიონით გაიზარდა და მიმდინარე წლის დამდეგისათვის 271 მილიონს გადააჭარბა“. ეს არის სტრიქონი პოლიტიკური ლიტერატურის გამმცემლობის მიერ გამოშვებული პატარა ცნობარიდან „სსრ კავშირის მოსახლეობა“. ავტორებმა — დემოგრაფიისა და სტატისტიკის დარგის მეცნიერთა და სპეციალისტთა ჯგუფმა — ცნობარში თავი მოუყარეს დიდძალ ცნობებს, რომლებსაც ინტერესით გაეცნობა ფართო მკითხველი. განსაკუთრებულ სარგებლობას მოუტანს ეს წიგნი პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს.

ქვეყნის მოსახლეობის ზრდა მიმდინარეობდა გრანდიოზულ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა პირობებში და გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ არა ომის წლების დიდი მსხვერპლი. მეორე მსოფლიო ომმა, აღნიშნავენ ავტორები, კიდევ ეგრეთ წოდებული დემოგრაფიული ზარალი მოგვაყენა — ქვეყანაში მკვეთრად შემცირდა შობადობა, გაიზარდა სიკვდილიანობა, დაირღვა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა.

საბოლოო ანგარიშით, ჩვენი საშობლოს მოსახლეობის ომამდელი რიცხვი აღდგა მხოლოდ 1955 წელს, ფაშიზმზე ჩვენი გამარჯვებიდან ათი წლის შემდეგ.

მოსახლეობა გაიზარდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ხდება ეს შედარებით მაღალი დონის შობადობის რეგიონებში — შუა აზიის რესპუბლიკებსა და ყაზახეთის სს, აზერბაიჯანის სს და სომხეთის სს რესპუბლიკებში. მოსახლეობის მატების სწრაფი ტემპი შეინიშნება ჩრდილოეთ კავკასიის მთელ რიგ ავტონომიურ რესპუბლიკებში, ტუვისა და იაკუტების ავტონომიურ რესპუბლიკებში.

ცნობარში მოტანილი ციფრები ცხადყოფს, რომ მამაკაცთა რიცხვი ქვეყანაში უპირატესი ტემპით იზრდება. 1970 და 1979 წლებს შორის პერიოდში მამაკაცთა რიცხვი გაიზარდა 10 პროცენტით, ქალთა — 8 პროცენტით. მუნიციპალურ ამისა, ქალები ქვეყანაში უწინდებურად სჭარბობენ. ეს სიჭარბე უმთავრესად მოდის ორმოცდაათ წელზე უფროს თაობაზე.

ცნობარში შეტანილია სხვა საინტერესო და სასარგებლო ცნობები ქალაქების რიცხვის ზრდის, მოსახლეობის ადგილგადანაცვლების, მისი განათლების, სოციალურ-კლასობრივი და ეროვნული შემადგენლობის შესახებ. ჩვენს ქვეყანაში 100-ზე მეტი ერი და ეროვნებაა, რომელთა შორის შეიქმნა ჭეშმარიტი თანასწორუფლებიანობის, ძმური ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის, პატივისცემისა და ურთიერთნდობის ატმოსფერო.

ცნობარში ვრცლად არის წარმოდგენილი კარი, რომელიც გვიჩვენებს მოსახლეობის შემადგენლობას არსებობის საშუალებათა და შრომითი რესურსების გამოყენების წყაროების მიხედვით. ავტორები შეგვახსენებენ, რომ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ საბჭოთა კავშირში ლიკვიდირებულია უმუშევრობა. სრული დასაქმება სოციალიზმის უდიდესი მიღწევაა. უფრო მეტიც, ქვეყნის სახალხო მეურნეობაში ნიადაგ ფართოვდება შრომის გამოყენების სფერო, სამუშაო ადგილების რაოდენობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხვი.

საკდესის კორ.

საპლანეტათშორისო ვრასაგეა „ვენერა-15“

კოსმოსური სივრცისა და მზის სისტემის პლანეტების კვლევის პროგრამის შესაბამისად 1983 წლის 2 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს ავტომატური საპლანეტათშორისო სადგური „ვენერა-15“.

გაშვების მიზანია პლანეტა ვენერას ზედაპირისა და ატმოსფეროს იმ მეცნიერული კვლევის განგრძობა, რომელიც მისი ხელოვნური თანამგზავრის ორბიტიდან ხორციელდება.

სადგურის სამეცნიერო აპარატურის შექმნაში საბჭოთა სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპეციალისტები.

„ვენერა-15“ სადგური საპლანეტათშორისო ტრაექტორიაზე გაყვანილია დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის შუალედური ორბიტიდან. ბალისტიკურ გაზომვათა მონაცემებით, ფრენის ტრაექტორიის პარამეტრები უახლოვდება გაანგარიშებულს. სადგურმა ვენერას მიდამოებს უნდა მიაღწიოს 1983 წლის ოქტომბრის დამლევს.

„ვენერა-15“ სადგურის საბორტო სისტემები და სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

საკდესის ცნობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ქ. თბილისში საბურთალოს რაიონის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება ქ. თბილისის ორჯონიკიძისა და პირველი მაისის რაიონებიდან გამოყოფილ ტერიტორიაზე ახალი რაიონის — საბურთალოს რაიონის შექმნის შესახებ.

2. დადგინდეს საბურთალოს რაიონის ტერიტორია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საზღვრების ფარგლებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჯ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1983 წლის 3 ივნისი.

თბილისის ახალი რაიონი

იმასთან დაკავშირებით, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა ქალაქ თბილისის ახალი — საბურთალოს რაიონი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დაამტკიცა ახალი რაიონის ფორმირების საორგანიზაციო ბიუროს შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ი. ი. ხუციშვილი (თავმჯდომარე), დ. დ. ბოჯგუა, ბ. დ. გიორგაძე, შ. ა. დოლონაძე, დ. ა. ჯაფარიძე. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიონული კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა ა. ვ. ბარისაშვილი გაათავისუფლა პარტიის მცხეთის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

პარტიის მცხეთის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია შ. მ. ეცადაშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა. (საქინფორმი).

პარტიის თბილისის 26 კომისრის რაიკომის პლენუმი

გაიმართა პარტიის თბილისის 26 კომისრის რაიონული კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა ი. ი. ხუციშვილი გაათავისუფლა პარტიის 26 კომისრის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

პარტიის 26 კომისრის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ა. ი. პავშუნცევი, რომელიც მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგის პირველ მოადგილედ.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. დ. გაბუნიამ. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორეს პონდენტის ს. ს. შარაძენიძის დაკრძალვასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა კომისია ამხ. გ. ნ. ჯიბლაძის თავმჯდომარეობით.

თ. ს. შარაძენიძის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია გაიხსნება დღეს, 4 ივნისს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება დღეს, 4 ივნისს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

მეგობრობის დღესასწაული საყოველთაოა

კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის ვ. ელიუტინის ბრძანება, რომელშიც კერძოდ ნათქვამია:

ქართველი და რუსი ხალხების ცხოვრების ეს საგულისხმო თარიღი დიდ საყოველთაოსახალხო დღესასწაულად აღინიშნება. ამ დღესასწაულს უმაღლესი სასწავლებლების მუშაკებიც აღნიშნავენ და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების ურღვევ მეგობრობას ცხადყოფენ.

რუსეთსა და საქართველოს შორის გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის 200 წლისთავის გამო ვბრძანებ:

მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებმა, ის სამინისტროებისა და უწყებების სასწავლებლების მთავარმა სამმართველოებმა და სასწავლებლების განყოფილებებმა, რომლებსაც აქვთ უმაღლესი სასწავლებლები, სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების სამინისტროს უმაღლესი სასწავლებლთა მთავარმა სამმართველომ ურჩიონ დაქვემდებარებული უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს:

— მოაწყონ 1983 წლის ოქტომბერში უმაღლეს სასწავლებლებში საბჭოთა ხალხების მეგობრობის საღამოები, ხოლო აკადემიურ ჯგუფებში საუბრები რუსეთთან საქართველოს შეძოერთების ისტორიული მნიშვნელობის შესახებ და სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და განათლების განვითარებაში საბჭოთა ხელისუფლების მანძილზე საქართველოს სს რესპუბლიკის მიღწევების შესახებ.

— სამეცნიერო-ტექნიკურმა საბჭომ გამოფენის „უნივერსიტეტები — ქვეყნის წამყვანი სასწავლო-მეთოდიკური და სამეცნიერო ცენტრები“ ექსპოზიციაში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის „სახალხო განათლების“ პავილიონში 1983 წლის სექტემბერ-დეკემბერში გაითვალისწინოს სასწავლო-აღმზრდელობითს, სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიღწევების ფართო ჩვენება.

— საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ (მინისტრი ამხ. დ. ჩხიკვიშვილი) დაავალოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, წარმოუდგინოს სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოს თემატიკურ-სპექსპოზიციო გეგმა და ექსპონატების ნუსხა, რომლებიც რეკომენდებულია გამოფენაზე საჩვენებლად.

— სამეცნიერო და სასწავლო-სალაბორატორიო მოწყობილობით უმაღლესი სასწავლებლების მომარაგების სამმართველომ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად მოამზადოს წინადადებანი იმის თაობაზე, რომ 1983 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დამატებით გამოეყოს გამომთვლელი ტექნიკისა და პერიფერიული მოწყობილობის საშუალებანი.

— ხელმძღვანელი და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების სამმართველომ უზრუნველყოს საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების სამინისტროს განაცხადის შესრულება ადგილების გამოსაყოფად მიზნობრივ ასპირანტურაში, კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტებზე და მეცნიერი თანამშრომლების თანამდებობაზე იმ მასწავლებელთა გადასაყვანად, რომლებიც სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობენ.

— რუსეთის სფსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების სამინისტროს უმაღლეს სასწავლებელთა მთავარმა სამმართველომ დადგენილი წესით განიხილონ საკითხი, რომ მათმა საქვეუწყებო უმაღლესმა სასწავლებლებმა თბილისისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებს, საქართველოს და ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტებს, სამხრეთ ოსეთისა და ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტებს გადასცენ სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურა, სასწავლო-სამეცნიერო მოწყობილობა და სატრანსპორტო საშუალებანი.

კომუნისტური საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე დიდი შემაკავშირებელი ძალა ინტერნაციონალიზმია. სწორედ ხალხთა ძმობასა და მეგობრობაში, მზრუნველობაში ერთიანდება ჩვენი ახალგაზრდობა, ქვეყნისა და ხალხის იმედი.

სსრ კავშირის ტრაქტატი

ისტორიული, რადიკალური ცვლილებები მოხდა ჩვენს რესპუბლიკაში. მათ საერთოსაკავშირო მნიშვნელობა აქვთ. უკანასკნელ პერიოდში რეს

პარტიული ცხოვრება:
საოლქო კომიტეტების პლენუმებზე

გრძელისუნარიანობის ამაღლებისათვის

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, განიხილა საკითხი თბილისის საკვებრო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის რეკომენდაციებიდან გამომდინარე „მშრომელთა საზოგადოებრივი და საწარმოო აქტიურობის განვითარებაში, დისციპლინის განმტკიცებაში, მუშაობის სტილის სრულყოფაში აფხაზეთის პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლის ამაღლების შესახებ".

პარტიის საოლქო კომიტეტის მოხსენება წინასწარ განხილვისათვის დაეგზავნათ საოლქო კომიტეტის წევრებს, წევრობის კანდიდატებს, სარევიზიო კომისიის წევრებს.

პლენუმზე აღინიშნა, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებაში დიდ დამრაზველ როლს ასრულებს აფხაზეთის ასსრ შინაგან პარტიისა და მთავრობის დადგენილება, რომლის მეხუთე წლისთავი წელს ივნისში სრულდება. აღნიშნული პერიოდი საოლქო პარტიული ორგანიზაციის უნარის სერიოზული შემოწმების პერიოდი გახდა. სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებში პარტიული გავლენის გაძლიერებამ, კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებამ დიდად შეუწყო ხელი საიუბილეო წელს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა გამარჯვებას საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. წარმატებანია მოპოვებული მიმდინარე ხუთწლედის შუაგული წლის პირველ კვარტალშიც. აი უკვე მესამე წელია ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი გაზის აპარატების ექსპერიმენტულ ქარხანაში 50 პროცენტს აღემატება — აფხაზეთის დედაქალაქის ეს მსხვილი საწარმო დარგის მიხედვით მოწინავე გამოცდილების ბაზა გახდა. ამ წარმატებაში დიდ როლს ასრულებს ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც მუდმივად ეძებს პროდუქციის გამოშვების ტემპის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, წარმოების დანახარჯების შემცირების გზებს, ზრუნავს კომუნისტთა ავანგარდული როლის ზრდისათვის.

ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისათვის შრომაში კარგი გამოცდილება შეიძინეს ქარხანა „სოხუმხელსაწყოს", ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის, გაგრის კოლმეურნეობა „მეგობრობისა" და ლენინის სახელობის კოლმეურნეობის, ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის, გუდაუთის რაიონის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა „დურიფშ�ეს", ლიხნის პარტიის XXIV ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის, გულრიფშის რაიონის ილიჩის სახელობის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობისა და კიროვის სახელობის კოლმეურნეობის, ოჩამჩირის რაიონის მერკელის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და ბესლახუბის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის, გალის რაიონის ჭუბურხინჯის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობისა და სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის პირველადა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

პლენუმის მონაწილეებმა, გაანალიზეს რა თვითანთ საქმიანობა, ხაზგასმით აღნიშნეს თუ რა დიდი დახმარება გაუწია მუშაობაში თბილისის საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის რეკომენდაციებმა, მაგრამ ამასთან ერთად ილაპარაკეს არსებულ ნაკლოვანებებზე.

აღინიშნა, რომ მიმდინარე წლის ოთხი თვის შედეგები ცხადყოფს სერიოზულ ნაკლოვანებებს, გამოუყენებელ შინაგან რეზერვებს, რომლებიც შეინიშნება ავტონომიური რესპუბლიკის ცალკეულ შრომითს კოლექტივებში, რაც იმის შედეგია, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ ღრმად ვერ სწვდება სამეურნეო საქმიანობას, ძირითადი ყურადღება გადაიტანს რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, მხედველობიდან რჩება მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის, კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლების საკითხები.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. აღლეიბამ.

მიღებულ დადგენილებაში დასახულია ღონისძიება, რომლის განხორციელება ხელს შეუწყობს ავტონომიურ რესპუბლიკაში პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას.

ი. გოგბეიჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ვაზი არყისხევს დაუძმობილე!

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის იუბილეს მიეძღვნა ყვარლის რაიონულ გაზეთ „ყვარლის" სპეციალური ნომერი. „ვაზი არყისხეს დაუძმობილე და საქართველო — უძველეველ რუსეთს" — ამ საერთო სათაურით გაზეთის სპეციალური კორესპონდენტი ი. კურტანიძე მკითხველებს უზიარებს გეორგიევსკის რაიონში მიღებულ შთაბეჭდილებებს. მოკლე ისტორიულ ექსკურსთან ერთად გაზეთის მკითხველები ეცნობიან რაიონის დღევანდელ ცხოვრებას. კორესპონდენტი მკითხველებს აცნობს ჩვენს თანამემამულეებსაც, რომლებიც სხვებთან ერთად ცხოვრობენ და მოვაჭეობენ ჩვენი ერებისათვის ამ ისტორიულ რაიონში. აი თუნდაც არმატურის ქარხნის მოწინავე მუშა აღექსანდრე რეხვიაშვილი. ახალგაზრდობაში იგი სტაროპოლის მხარის საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ. ოჯახის სპორტულ ტრადიციას მისი ვაჟი გენადი განაგრძობს. იგი მხარის სამგზის ჩემპიონია მრავალჭიდში.

გეორგიევსკი საგანგებოდ ემზადება ღირსშესანიშნავი იუბილესათვის. სკკპ გეორგიევსკის რაიონული კომიტეტი და საქალაქო კომიტეტი ბიუროს სხდომებზე რეგულარულად განიხილავენ იუბილესათვის მზადების მდგომარეობას. ფაბრიკებსა და ქარხნებში, ველ-მინდვრებში გაშლილია ამ მოვლენისადმი მძღონელი სოციალისტური შეჯიბრება. გეორგიევსკის სატვირთო ავტომობილების საწარმოს მძღოლმა, შრომის წითელი დროშის და საპატიო ნიშნის ორდენოსანმა სტეფანე ბიკოვმა ვალდებულება იკისრა 1983 წლის 24 ივლისისათვის შესასრულს ხუთწლედის სამი წლის დავალება. ბიკოვის თაოსნობას მრავალმა შრომითმა კოლექტივმა დაუჭირა მხარი. მაგალითად, გეორგიევსკის ვ. ი. ლენინის სახელობის არმატურის ქარხნის სამათასკაციანი კოლექტივი მიმდინარე საიუბილეო წელს 37,5 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქციას გამოუშვებს.

გაზეთში წარმოდგენილი მასალებიდან ვიგებთ, რომ იუბილესათვის მზადების რიტმი გეორგიევსკში ყოველ წუთს იგრძნობა. მაგალითად, მალე დამთავრდება ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ძეგლ-მემორიალის მშენებლობა, რომელიც ქართველ ავტორთა კოლექტივმა შექმნა ა. ბასტამის, თ. მაქათავაძის და დ. შუბლაძის მონაწილეობით.

გეორგიევსკის საქალაქო ბიბლიოთეკაში მოწყობილია ვიტრინები — „ფაიცახით საქართველო", სადაც გამოფენილია მხატვრული ნაწარმოებები და სამეცნიერო ნაშრომები ჩვენი რესპუბლიკის შესახებ.

„ორსაუკუნოვანი ისტორია, ძმობის, დამოყვრების, ურთიერთთანადგომის, ისტორია ორი ხალხისა, რომელიც გეორგიევსკში დაიწყო, გრძელდება და მკვიდრდება, ახალ ძალასა და სითბოს იძენს, ეს არის ძმობით დამოყვრებულ გულთა სითბო, რომლის შარავანდედი სამარადჟამოა". — ასე მთავრდება პუბლიკაცია და ეშმარტად ამ მეგობრობის დამადასტურებელი ერთ-ერთი ფაქტი თავად რაიონული გაზეთის ეს სპეციალური ნომერიც გახლავთ.

გ. ხარებაშვილი.

მუშაობის სტილის სრულყოფით

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის თითოეული მშრომელის წინაშე უპირველეს ამოცანად დგას სოფლის მეურნეობის პროდუქტების რაც შეიძლება დიდი რაოდენობით დამზადება, ესე იგი ოლქის მშრომელთა სურსათით სრული მომარაგება. ამისათვის საჭიროა სოფლის მეურნეობის დარგების შემდგომი ამაღლების უზრუნველყოფა. ამ ამოცანის მისაღწევად იღვწიან ოლქის პარტიული ორგანიზაცია, მისი პარტიული კომიტეტები. ყოველივე ამის შესახებ საუბარი იყო საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის თათბირებიდან გამომდინარე ოლქის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისა და ავტონომიური ოლქის მეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ფ. საბაკოვის მოხსენებაში, გამოსვლებში აღინიშნა, რომ პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის მიერ შემუშავებული კურსის განხორციელების შედეგად ოლქის პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებმა, შრომითმა კოლექტივებმა წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებასა და განმტკიცებაში.

ოლქში დასახული გეგმის მიხედვით ხორცეულდება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანის ღონისძიებანი. ეს არის ავტონომიური ოლქის პარტიული და საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების თავდადებული შრომის შედეგი. შარშან გაიზარდა სახელმწიფოსათვის რძის, კვერცხის, ბოსტნეულის, შაქრის ჭარხლის მიყიდვა, ლობიოს, ნივრისა და სიმინდის წარმოება. ოლქის მეცხოველეობამ წარმატებით შეასრულეს მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა.

პლენუმზე აღინიშნა ის სასიამოვნო ცვლილებანი, რომლებიც სოფლის მოსახლეობის შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებში ბრწყინავენ.

პოზიტიურ ძვრებთან ერთად ყურადღება გამახვილდა ავრეთვე ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე, გადაუჭრელ პრობლემებზე, ზოგიერთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ჯერ კიდევ ვერ გახდა რენტაბელური, ჯეროვან დონეზე არ დგას მეთესლეობის საქმე, ბალებში ვერ მოისპო სიმეჩხერე, მთელ რიგ მეურნეობებში დიდია მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულება, გასაუმჯობესებელია ზოოვეტერინარული სამსახური ფერმებში, შემოქმედებითი მიდგომა სჭირდება სოფლის მეურნეობის მშრომელთა მატერიალური წახალისების სისტემის და სხვ.

აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის დაჩქარება, სასურსათო პროგრამის წარმატებული რეალიზაცია წარმოუდგენელია ისე, თუ არ მივაღწიეთ მყარ მიწათმოქმედებს, მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვან ამაღლებას. უხი მოსავლის მიღებისათვის საჭიროა ზუსტად იქნეს დაცული თესლბრუნვის პროცესი, ფართოდ დაინერგოს ინდუსტრიული ტექნოლოგია, ნაადგილ დამუშავების ეფექტიანი ხერხები.

პლენუმმა პარტიის რაიკომებს, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების მუშაკებს მიზნად დაუსახა გააუმჯობესონ პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე წლის, საერთოდ მთელი ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა.

გ. გვიშიანი.

სოფლის ყრილობა მსჯელობს

ხიდისთაველთა პირობა

საზოგადოებრივი წესრიგის განსამტკიცებლად ტყვიაველთა ლაშქარს ახალი შევსება ემატება

გორის რაიონის სოფელი ხიდისთავი კარგად არის ცნობილი ქართლში. იყო დრო, როცა აქაურ ატამსა და ყურძენს საქეიფოდ ჰქონდა გავარდნილი სახელი. ხალი და ვენახი ახლაც აქვს ხიდისთავის კოლმეურნეობას, მაგრამ უკანასკნელ წლებში აქ მოსავლიანობა ერთგვარად შემცირდა, სამგვიროდ გაიზარდა იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომლებიც წლითიწლობით ვერ ასრულებენ კაცდღეების მინიმუმს, საკოლმეურნეო შრომას ზურგს აქცევენ და სამუშაოდ ქალაქში მიეშურებიან.

— და მაინც, სოფელში თუ ბრუნდებიან, მარტო იმისათვის, რომ თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთს მიხედონ, იქ მოწეული ხილი და ბოსტნეული მამასისხლად გაყიდონ რესპუბლიკის ბაზრებზე, — საყვედურით თქვა ახლახან აქ გამართულ სასოფლო ყრილობაზე ხიდისთავის კოლმეურნეობის წევრმა, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. ხარებეგაშვილმა.

მოწინავე კოლმეურნის სიტყვას მთელი სოფელი უსმენდა. ყრილობაზე ასობით ადამიანი მოვიდა. განსასჯელი და სათქმელი მარლაც ბევრი ჰქონდათ ხიდისთაველებს.

გორის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობანი ყოველწლიურად ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ, განამტკიცებენ სოკოლმეურნეო ეკონომიკას, იპყრობენ ახალ მიჯნებს, ხიდისთაველები კი მათ შესაცქერიან. რატომ ან როდემდე?

აი ეს საკითხი აღელვებდათ სოფლის ყრილობის მონაწილეებს — ხიდისთავის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს გ. გიორგაძეს, № 106 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორს ვ. ქიტაიშვილს, ხიდისთავის საშუალო სკოლის დირექტორს გ. ქერდაყოფაძეს, კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგეს რ. თინიკაშვილს, პარტორგანიზაციის მდივანს მ. რამაზაშვილს, კოლმეურნე ნ. გაბინაშვილს, საშუალო სკოლის მოსწავლეს, სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციის მდივანს მ. ვანიშვილს, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს მ. ფირანიშვილს და სხვებს.

ნეგატიური მოვლენების ამოძირკვისათვის, ბრძოლა, დისციპლინის განმტკიცებისათვის აღებული კურსი, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი განუხრელად ახორციელებს, საკვალდებულო გახდა ყველასათვის. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ტყვიაველთა გამოცდილება, რომელიც მათ უკანასკნელ ათწლეულში სოფლად საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში დაგროვეს.

მიმდინარე წლის დამდეგს ტყვიაველებმა თავიანთ ყრილობაზე მეურნეობის გაძლიერაში კიდევ უფრო მაღალი მოჯნების მიღწევა გადაწყვიტეს. ეს მათ, ისევე, როგორც რესპუბლიკის ყველა შრომითს კოლექტივს, მიზნად დაუსახა სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებებმა.

კეთილდღეობის გაუმჯობესების გზა პატიოსანი შრომის გზაა, თქვა ნოემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ანდროპოვმა. ეს სიტყვები — „პატიოსანი შრომის გზა" სხვადასხვა კონტექსტით მეორდებოდა სოფლის ყრილობაზე ყველა გამოსვლაში.

მშრომელებმა გულისწყრომით დაგმეს ისინი, ვინც თავს არიდებს საკოლმეურნეო შრომას, ვისაც სოფლის ღირსება ჩრდაც არ ეღირს. სოფლის სიკეთით მხოლოდ ის უნდა სარგებლობდეს, ვინც სოფლისთვის ზრუნავს — ასეთი იყო ყრილობის მთავარი მოთხოვნა.

ყრილობაზე გამოსულებმა კონკრეტულად ჩამოაყალიბეს ის ამოცანები, რომლებიც კოლმეურნეობამ უახლოეს წლებში უნდა გადაწყვიტოს.

ხიდისთაველებს ყრილობამ მოუწოდა თავდადებული შრომით განამტკიცონ საკოლმეურნეო ეკონომიკა, ყველა უბანზე მიაღწიონ სამეურნეო ამოცანების უთუოდ შესრულებას, სასურსათო პროგრამის რეალიზაციას.

გვწამს, რომ ამ პირობას ხიდისთაველები ღირსეულად შეასრულებენ.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ჩვენი დეპუტატები და მათი საქმეები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამას წინათ მოაწყო თათბირ-შეხვედრა, რომელზედაც განიხილა საკითხი: „სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში საბჭოების როლის ამაღლებისათვის ქობულეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ".

ამ საკითხზე ინფორმაციით გამოვიდნენ ქობულეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. წულუკიძე და ამავე რაიონის ციცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დეპუტატთა ჯგუფის თავმჯდომარე თ. ზოიძე.

მონაწილეებმა — საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტის, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ პროფსაბჭოს კურორტთა სამმართველოს, ჟურნალების „საბჭოთა სამართლისა" და „საქართველოს ეკონომისტის", საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მშენებლობის სამმართველოს პასუხისმგებელმა მუშაკებმა იმსჯელეს და შეიმუშავეს ქობულეთის ადგილობრივი საბჭოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების რეკომენდაციები.

თათბირ-შეხვედრის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ხარაძემ.

მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით ქვემოთ ვბეჭდავთ ი. წულუკიძის წერილს.

ხალხის რჩეულიცხოვრების შუაგულში

ქობულეთის რაიონის კვირიკეს სასოფლო საბჭოში დეპუტატის დღე იყო დანიშნული. აქ შეიკრიბნენ როგორც სასოფლო, ასევე რაიონული საბჭოს დეპუტატებიც. სოფელი ძლერია, მაგრამ ეს რიდი ნიშნავს, თითქოს მოსახლეობა ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იყოს და სასაყვედურო არაფერი ჰქონდეს. გზა მოასფალტებულია, აშენდა ახალი მაღაზიები და მომსახურების ობიექტები. მხოლოდ აი, ახალი სკოლის ასაშენებლად ვერ იქნე და ვერ გამოინახა ადგილი. სოფელი მხარგაშლილია, მაგრამ ამავე დროს ისე მჭიდროდ არის დასახლებული, სკოლისათვის საჭირო ერთ ჰექტარამდე თავისუფალი ნაკვეთი ვერ გამონახეს. დეპუტატის დღეს სწორედ ამ საკითხზე იყო კამათი. რაიონს სკოლების მშენებლობის მხრივ რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. რამდენჯერმე საკავშირო და რესპუბლიკური დონეზე დავიმსახურეთ. ასეთი წარმატება, უდავოდ, ჩვენი დეპუტატების, ჩვენი აქტივის მონდომების შედეგია. მაგრამ ამ სოფელში საქმე გაჭირდა. იმ დღეს სკოლის მშენებლობისათვის ადგილის გამონახვა ამომრჩევლებმა დეპუტატებს დაავალეს. საკითხისადმი ასეთმა კატეგორიულმა მიდგომამ სკოლის მშენებლობის ბედიც გადაწყვიტა.

ზედაკვირიკელ დეპუტატთა აქტიურობა გამონაკლისი როდია. რაიონის 11 სასოფლო, 2 სადაბო, ქობულეთის საქალაქო საბჭოების აღმასკომები, დეპუტატები და აქტივი ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან რაიონის ეკონომიკის აღმავლობისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის. მშრომელთა ერთსულოვნებისა და დარაზმულობის შედეგად მოპოვებული წარმატებებისათვის უკანასკნელი წლების განმავლობაში რაიონი რვაჯერ დაჯილდოდა რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშით, ხოლო რაიონის რამდენიმე საწარმო — საკავშირო და რესპუბლიკური დროშებით.

რაიონის მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადაჭრაში დიდი წვლილი შეაქვთ ჩვენს დეპუტატებს. ისინი არა მარტო ზრუნავენ ხალხის კეთილდღეობის, სადეპუტატო მოვალეობის შესრულებისათვის, არამედ პირადი ინიციატივითა და თავდადებული შრომით მისაბაძნი არიან. მოვიყვანოთ ერთი დამახასიათებელი მაგალითი. რაიონული საბჭოს დეპუტატმა, რაიაღმასკომის წევრმა გულნარა გოგიტიძემ შარშან 12 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, ხოლო პირადი დამზმარე მეურნეობიდან სახელმწიფოს მიჰყიდა 900 კილოგრამი ხორცი. იგი აქტიურად მონაწილეობს სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ საარჩევნო ოლქში მისი სადეპუტატო საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა გათვალისწინებულია რაიონული საბჭოს მორიგ სესიაზე. გ. გოგიტიძე გამონაკლისი როდია. მას არ ჩამორჩებიან დეპუტატები რ. სირაძე, ფ. ბოლქვაძე, ნ. კახიძე, ე. პავლიდი და ასობით სხვები.

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ბევრი რამ გაკეთდა მშრომელთა შრომის პირობების გაუმჯობესებისა და დაცვისათვის, მათი დასვენების ორგანიზაციისა და კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ამის საუკეთესო მაგალითია ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობა. მეურნეობის დიდი წვლილი შეჰქონდა რაიონის მეჩაიეობაში, მაგრამ ეს ხდებოდა მძიმე ფიზიკური შრომის შედეგად. ოჩხამურელმა დეპუტატებმა, მეურნეობის ხელმძღვანელებმა მტკიცედ მოითხოვეს მეურნეობა დასდგომოდა ინტენსიფიკაციის გზას. ეს არცთუ ისე ადვილი იყო. შრომითს კოლექტივს უნდა მოემზადებინა სამექანიზაციო ფართობები, დაენერგა მეცნიერული რეკომენდაციები, შეეძინა ტექნიკა. საერთო ზრუნვას შედეგიც შესანიშნავი მოჰყვა. ახლა ოჩხამურში რვასამადე საკრეფი და სასხლავი აპარატი და რამდენიმე მობილური მანქანა აქვთ. ასეთი ღონისძიებების შედეგად პლანტაციებში ხელშრომა მინიმუმამდე შემცირდა. გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი, იმატა რაოდენობამ. ბოლო ხუთ წელიწადში ჩაის მოსავალი 2000 ტონით გაიზარდა, ხოლო საშუალო ჰექტარობრივმა მოსავალმა 12 ათას კილოგრამს გადააჭარბა. ეკონომიკურ გაძლიერებას მოჰყვა მუშათა ცხოვრების დონის მკვეთრი ამაღლება. აშენდა 4 თორმეტბინიანი და ერთი 70-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. საეკსპლოატაციოდ გადაეცა უნივერმაღი, მომსახურების ობიექტები. კეთილშეეწყო კარმიდამოები. დეპუტატებმა ცხოვრების ყოველდღიურობას მეტი შინაარსი მისცეს. მათი ინიციატივით ეწყობა მხატვრული საღამოები, ექსკურსიები, სპორტული ღონისძიებები. ოჩხამურის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭოს დეპუტატებს ეკუთვნით შესანიშნავი ინიციატივა — „შეუწყალებლად ვიზრუნოთ მშრომელთა კეთილღეობის გაუმჯობესებისათვის". ინიციატივამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა, იგი მოიწონა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და ავტონომიური რესპუბლიკის სასოფლო და სადაბო საბჭოებისათვის სამაგალითო გახდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხს. პარტიის მოწოდებასა და მოსკოვის და თბილისის მოწინავე საწარმოთა თაოსნობას ერთ-ერთმა პირველებმა დაუჭირეს მხარი ლეღვას სასოფლო საბჭოს დეპუტატებმა. მათ ივალდებულეს სოფელი გახადონ მაღალი ორგანიზებულობისა და სანიმუშო დისციპლინის გამტარებლად, რასაც შემდგომ ახალი თაოსნობაც მოჰყვა. ალამბრის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიემ, რაიონული საბჭოს დეპუტატმა ნაზი მიქელაძემ თანასოფელებს მოუწოდა ფართოდ გაეშალათ ბრძოლა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისაგან თავის მარიდებელ პირთა და უქნარების წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვისაც თვალი საშოგარზე უჭირავს, სოფლის ყოველგვარი საკეთით სარგებლობს, სოფლისათვის კი არაფერს აკეთებს. ამ ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურნენ შრომითი კოლექტივები, დეპუტატები და იგი რაიონში მძლავრ მოძრაობად გადაიქცა.

ვინ არ იცის, რომ იმ ღონისძიებებსა და საქმეებს აქვს ფასი, რომლებსაც კონკრეტული შედეგები მოსდევს. მრავალი ინიციატივა და თაოსნობა საერთო-სახალხო კუთვნილებად იქცა, ქვეყანა და ხალხის საკეთილდღეოდ, უკეთესი საქმეების გადასაწყვეტად რაზმავს მოსახლეობას, მაგრამ, სამწუხაროდ სოფლად თუ ქალაქად გამოერევიან ხოლმე ისეთებიც, რომლებიც ცხოვრებაში ორ ოღო გზას ეძებენ. ამას წინათ „კომუნისტში" სამართლიანად იყო გაკრიტიკებული საქართველოს სხვადასხვა რაიონის რამდენიმე მოქალაქე, რომლებიც კრასნოდარსა და სხვა ქალაქებში ციტრუსითა — ხილით სპეკულანტობდნენ. ჩამოთვლილთა შორის, სამწუხაროდ, ქობულეთელებიც აღმოჩნდნენ. სასოფლო საბჭოს დეპუტატებმა მოითხოვეს, დამნაშავეებთან ერთად მკაცრად მოგკითხოთ ბრიგადირებსა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს, რომლებიც თავიანთი უკონტროლობის გამო ზოგ-ზოგებს საშუალებას აძლევენ თავისუფლად იპარპაშონ.

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მასალები, მიღებული დადგენილებანი დიდად დადგეხმარება ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრაში.

მეთერთმეტე ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისა თვის მშრომელთა მობილიზაციის, შრომითს კოლექტივებში დისციპლინის გამტკიცებასა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ და რაიონულ საბჭოებს, დეპუტატთა ჯგუფებს, თითეულ დეპუტატს. ბუნებრივია, სოციალურ-კულტურული საკითხების გადაწყვეტა შეუძლებელია, თუ არ იქნა უზრუნველყოფილი ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური კლიმატი, მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგი, სანიმუშო შრომითი დისციპლინა, სოციალისტური კანონიერების დაცვა. აქ კი ადგილობრივი საბჭოების საქმიანობას ვერცელი სარბიელი ეძლევა.

შარშან ქობულეთის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა განიხილა მუხაისტატეს, ციხისძირის, ბობოყვათის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოების აღმასკომების მუშაობის საკითხები. მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავა კონკრეტული ღონისძიებები. ხშირია საცხოვრებელ ადგილებში გასალითი ღონისძიებების ჩატარება. რაისაბჭოს აღმასკომმა შარშან მაისში ჩაქვის სადაბო საბჭოს დეპუტატთა მოთხოვნით დაბა ჩაქვში გაზეთ „საბჭოთა აჭარის" რედაქციასთან და აჭარის ასსრ სახმფინთან ერთად მოაწყო „ღია წერილის დღე", რომელიც მიწათსარგებლობისა და ბინათმშენებლობის საკითხებს მიეძღვნა. მიიღეს საჭირო რეკომენდაციები.

ბევრი საჭირბოროტო საკითხი წყდება საწარმო-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მოქალაქეთა მიღების დღეებში. ამ მხრივ აქტიურობენ დეპუტატები. ისინი სისტემატურად ხვდებიან ამომრჩევლებს. შარშან 936 დეპუტატიდან 934-მა ორჯერ ჩაბარა ანგარიში ამომრჩევლებს. რაისაბჭოს აღმასკომის თოთხმეტივე ქვეგანყოფილება და ყველა რგოლის საბჭოს აღმასკომის შემადგენლობა შეხვდა მოსახლეობას. ფრიად პოპულარულია დეპუტატთა სკოლები, რომლებშიც ჩაბმული არიან საბჭოს ყველა რგოლის დეპუტატები. საბჭოებთან 96 კომისიაა, რომლებშიც გაერთიანებულია 716 დეპუტატი და 837 აქტივისტი. შარშან სესიებს ანგარიში ჩააბარა 13 კომისიამ, მათ ირგვლივ 174 საკითხი, სესიებზე კი 49.

სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულების მიმდინარეობაზე ბოლო ორ წელიწადში რაიონული საბჭოს სესიაზე ოთხჯერ იმსჯელა, ხოლო აღმასკომის სხდომებზე ანალოგიური საკითხები 72-ჯერ განვიხილეთ. ასეთივე მდგომარეობაა სადაბო, სასოფლო და საქალაქო საბჭოებში, ღონისძიებები გავლენას ახდენს მშრომელთა პასუხისმგებლობის გაზრდისა და თვითშეგნების ამაღლებაზე და ისინი გამოხატულებას პოულობენ სამეურნეო შედეგებში.

სკკპ XXVI ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების მიერ სასურსათო პროგრამით დასახული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლა დღეს ჩვენი მთავარი საზრუნავია. მიმდინარე წლისათვის ქობულეთელმა მშრომელებმა ივალდებულეს სამშობლოს მიჰყიდონ 47 ათასი ტონა ჩაი და 85 ათასი ტონა ციტრუსი. ამ ამოცანების გადაწყვეტაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ჩვენი დეპუტატები, ახალი შრომითი გამარჯვებებით აღნიშნავენ გიორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს.

ი. წულუკიძე,
ქობულეთის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

„პარტიული სიტყვა" № 9-10

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის" გაერთიანებული მეცხრე და მეათე ნომერი, რომელიც მიძღვნილია თბილისში ჩატარებული საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისადმი.

რუბრიკით „საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია" დაბეჭდილია: უფრო ავადა ღლოთ პირველადი პარტორგანიზაციის ავტორიტეტი, უფრო მჭიროდ დაეუკავშიროთ ერთმანეთს ცოცხალი სიტყვა და ცოცხალი საქმე! — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის გამოსვლა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის გახსნისას 1983 წლის 7 აპრილს; მშრომელთა აქტიურობის განვითარება, დისციპლინის განმტკიცება, მუშაობის სტილის სრულყოფა პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა აქტუალური ამოცანებია — სკ

დედაშვილობა

...ქარაფეზზე გადამდგარი დედის ზეაღმართული ფიგურა, საშობლოს სიყვარულს შეწირული ვაჟკაცის საფლავი, მის ნატყვიარ გულზე მოწყვეტილ ვარსკვლავებად დაფენილი ყვავილები, საფეხურებზე სხარულისა და მწუხარების ცრემლებად ჩამონადენი ჩანჩქერი... ყველაფერი ერთად ქმნის განცდათა დიდ სამყაროს, სადაც საზოგადო, საერთო-მამულიშვილური თავისთავად ხდება თითოეულის კუთვნილება, სასოება და იდუმალება.

წელიწადის ყოველ დროს, ყოველ დღეს და საათს მიყვარს აქ მოსვლა ჩემი ალმაფრენთი, ჩემი სევდითა და გულისტკივილით. ადამიანის სულის ეს ორი მდგომარეობა სრულიად კანონზომიერი და გასაგებია ყველასათვის, რადგან ადამიანური ვნებების — სულიერი სიხარულისა და ტკივილების გარეშე თვით დიდი ბედნიერების განცდაც შეუძლებელი იქნებოდა ალბათ...

თეთრი, ქათქათა შემოსასვლელოდანვე მეუფლება მადლიერების დიდი გრძნობა და უღრმესი პატივისცემა უწინარესად იმის მიმართ, ვინც შეძლო ადამიანის სულის უზღაპარ საწყისებს მისწვდომოდა, პიროვნულისა და საერთოს გადაკვეთისათვის მიეგნო და აქ ანსამბლის შექმნის უწმინდესი საქმისათვის დაედო სათავე. ეს პატივისცემა ეკუთვნის ამ დიდი ნაფიქრალის, ნააზრევის ჭეშმარიტ ხორცშემსხმელსა და სულისჩამდგმელს.

თავიდანვე ჩემს ცნობიერებამიც ერთად, ერთ მთლიანად არსებობს დედის ძლევამოსილი ქანდაკება და მამულისათვის თავგანწირული ვაჟკაცის საფლავი. ორივე ერთად ჩემშიც იწვევს ამაღლებულ გრძნობებს, დიდებულ და სასიამოვნო ასოციაციებს.

ასე მგონია, ეს ინგილო ქალია, მეფე ერეკლეს რომ თავზე გადაეყარა ბღუჯა ქლიავი: „ეგ რომ ჩვენი სახელოვანი მეფე იყოს, გინა სპარსელ ქუდს დაიხუვრავდაო“,—მერე მეფესა და საქართველოს რომ შესწირა ორი ვაჟკაცი. და რიცა კრწანისის ველზე მათი გმირული სიკვდილის ამბავი გაიგო, გმინვა აღმოხდა, მაგრამ სიამაყით სავსემ თქვა: „...ნუ გაუხარდება მტრებს... მე კიდევ მყავს ოთხი ვაჟი და ორი ქალი. მე მათ დავზრდი უფრო უკეთესს, უფრო გულმხურვალე მამულიშვილებად და ისინი სხვა ქართველი დედების აღზრდილ მამულიშვილებთან ერთად გადაუხდიან მტერს სამაგიეროს“...

ნათელ კვალდატოვებული ინგილო ქალის საამაყო შვილი გინისვენებს ჩემთვის ამ საფლავში.

ეს მოყმის დედაცაა თვალცრემლიანი, სიამაყით რომ დასტიროდა შვილის ცხედარს: „ერთ შვილ ხომ მაინც გაგზავრდე, ვეფხვებთან მეომარია“... ამ ლოდქვეშ დამცხრალა ვეფხვის კლანჭებით დაგლეჯილი, გაფთრებულ მხეცს უშიშრად შებრძოლებული ვაჟკაცის სიცოცხლე.

ეს არის ის ბედნიერი, უდრეკი დედა, ომში შვასლის წინ შვილი რომ ჩაიკრა სასოებით გულში და უთხრა: „იცოდე, თუ შიშით უძლურს ტყვიის ზურგში გიპოვიან, ვიტყვი, რომ შენ ჩემი ძუძუ არასოდეს გიწოვია“. და შვილის საფლავიც დასტურია, როგორ შეასრულა მან ეს დარიგება.

ეს შოთა გამცემლიძის დედაა, ამაღლებული სულის ქალი, ძაძებით მოსილი რომ დაიარებოდა თბილისის ქუჩებში და დღენიადაგ იმეორებდა მისთვის ნუგეშად ქცეულ პოეტის სიტყვებს: „შენ ოცოდე გაზაფხული გინახავს მხოლოდ, დანარჩენები სამშობლოსთვის შეგიწირია“.

ეს ოლეგის დედაა, ეს მუსა ჯალილის დედაა, ეს აფხაზი მზეჭაბუკის ვლადიმერ ხაზარიას დედაა. რადგან ყველა მხარეში, ყოველ კუთხეში დედა ყველგან დედაა და მისი უწმინდესი მოვალეობა სახელოვანი შვილის აღზრდაა, უდიდესი და უძლიერესი განცდა — შვილის ბედნიერება და სიხარული, მწუხარება და ტკივილია. ეს საფლავებიც მათი შვილებისაა...

ასე ცოცხლდებიან ჩემთვის მტერთან უშიშრად შერკინებულთა, სამშობლოს სიკეთისათვის უშურველად დახარჯულთა სახეები და მათი აღმზრდელი დედები. ამ მემორიალის გამარჯვებაც ალბათ ეს არის: ყველასათვის არსებობდეს და ცალ-ცალკე ადამიანებში თავის განუმეორებელ განცდებს იწვევდეს.

ბევრი, ჯერაც უთქმელი სიტყვა და განცდა თვლეს ხელოვნების ამ დიდებული ქმნილების



ფარგლებში. გაიკვლის წლები, და იგი უფრო ძლიერად წარმოდგება შთამომავლობის წინაშე. უფრო დიდი მადლიერებით მოიხსენიებენ მომდევნო თაობები იმას, ვინც მოიფიქრა იგი ხალხისათვის და ვინც ზუსტად გიგო ეს ნაფიქრალი...

ასეთი ამაღლებული გრძნობები მარტო მე არ განმიცდია და დამუფლებია. მისაბრალი სრულიად უცნობ ახალგაზრდა ქალთან, რომელსაც პატარა ბიჭუნა მოჰყავს ხოლმე გამარჯვების პარკში.

— თქვენ აქ, ალბათ, ხშირად მობრძანდებით ხოლმე სასეირნოდ, არა? — ვეკითხები მას.

— დიახ, აქვე ვცხოვრობ. მაგრამ ასე ხშირად არასოდეს არ მიგლია. ვერ ვპოულობდი საამოსო დროს. ახლა დავდივარ და ეს მერამდენედ ვუამბობ ჩემს პატარა ბიჭს მამულისათვის თავგანწირული მზეჭაბუკისა და მისი აღმზრდელი დედის ამბავს, ვუყვები დიდ მამულიშვილურ გრძნობებზე, იმაზე, თუ რისთვის

ცხოვრობს ქვეყნად ადამიანი... მე ჩემებურად ვუყვები ამას. და როცა პატარა მეტყვის წავიდეთ დედაშვილთანო, გული სიხარულით მევსება. ესე იგი, მე რაც გულში ჩამწვდა, რაც მე მაღელვებს, პატარას გულამდეც მიუღწევია, ესე იგი გაუმარჯვია ქვაში ამოერებულ დედაშვილობას.

მეცნიერებს, მხატვრებს, მწერლებს ძალიან უყვართ აქაურობა. ხშირად მინახავს აქ მოსეირნე ჩვენი მეცნიერები. ვინ იცის, რამდენ შემოქმედებითს მიგნებებს, მეცნიერულ აზრს დაიდო აქ სათავე.

აგერ სტუდენტი ახალგაზრდები

ეს ოლეგის ბიჭებია. ასე მგონია, თითქოს კიბეებზე უნდა ჩამოვიდეს დედა ამ საღამოს, შვილი მონატრებია, ღამის სიბნელე უნდა იფაროს და დაეძახოს მოხატრებული შვილის საფლავს...

რა ლამაზი და დიდი გული გქონია, შენ გაგზავრდე, შვილო, შენს დედას-მეთქი, ჩემთვის ჩავილაპარაკე. დედის ქანდაკებას შევხედე...კარგი ბიჭის ნათქვამი მეც გადამედო და მომეჩვენა, უკვე შვილის საფლავზე დამხობილიყო კიდეც. მომცრო კვარცხლბეკზე მარილაც ვერ დავინახე ქალის სახება. ნამდვილად შვილის საფლავზე იყო დამხობილი... მერე, გული რომ მოიოხა, მანდილი გაისწორა, ცრემლი შეიშრო (უკვე არ ჩამდიოდა საფეხურებზე მისი სიმწარენარევი ბედნიერების ცრემლები) და ისევ დაუდგა დარაჯად საყვარელი შვილის საფლავს.

...ერთ შვილ ხო მაინც გაგზავრდე ვეფხვებთან მეომარია“... ქარაფებიდან ქარს მოაქვს ჩემამდე დედის გულისთქმა.

ეს გულისთქმა ესმით ამ ყმაწვილებს. ესმით ეს გულისთქმა აქვე, ბაღში ჩუმად მოსეირნე ოჯაგადახდილებს. იგონებენ ქარიშხლიან დღეებს, ამ ვაჟკაცის დარად მათი სიცოცხლის ყოველი წუთი, მათი სხეულის ყოველი უჯრედი რომ ეკუთვნოდა და ეკუთვნის მამულის დიდებას, ღირსებასა და დიდგულობას. მათი გულის ნაწილიც ასევნია აქ. ის ნაწილი, რომელიც სამუდამოდ უწილადეს ფრონტელ მეგობრებს, ცხოვრებიდან უდროოდ წასულ ღიმილის ბიჭებს.

ყველასათვის და თითოეულისათვის ასე არსებობს ხელოვნების ეს დიდი ქმნილება. ასე გადაეცემა იგი თაობიდან თაობამდე.

— რა კარგი იქნებოდა, აქ დასადგურებული სიყვარული და პატივისცემა, ძლიერი და ამაღლებული გრძნობები გამოგვეყენებინა და ადამიანის ცხოვრების ღირსშესანიშნავი მოგლენების ზეიმით აღსანიშნავად ემოციით დატვირთული სხვადასხვა რიტუალი, წესი და ჩვეულება შემოგვეღო,— სხვადასხვა დროს გამოუთქვამთ თავიანთი სურვილი ჩვენს ცნობილ ადამიანებს...

დიდი სიამოვნებით ვიზიარებთ გაზეთ „თბილისში“ გამოთქმულ აზრს — საქორწინო მაყრიონმა პატივი სცეს ამ წმინდა ადგილს. მართლაცდა, რა შესანიშნავი იქნება მთელი კომპლექსის სრულად აღსაქმელად რადიოს ხმამ მიდამოს მოჰფინოს დედაშვილობის მარადიული სიმღერა — ილია ჭავჭავაძის ქართველის დედის სიტყვები: „დედავ! ისმინე ქართველის ვედრება: ისე აღზარდე შენ შვილის სული, რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება, უკან ჰრჩეს კვალი განათებული“. სხვა ლექსიც და სიმღერაც არსებობს, შეიძლება ახალიც შეიქმნას. ცაში ავარდნილმა შუშხუნებმა ამქვნის გარემოს ორი დიდი გამარჯვება: დედაშვილობის დიდებული ზეიმი მონდომება და სიყვარული იქნება ამის თავდებენ!

სამაგიეროდ ყვავილების ეს მარადიულობა, მზის მარად მოკიაფე სხივები და მარადიული ცეცხლი, ერთად აღქმული, გაძლიერებს სიკეთისქმედებისა და კაცურკაცობისათვის ადამიანთა მარადიული სიცოცხლის ქვეყნად სუფევის ღრმა რწმენას.

რამდენია ჩვენში ასეთი წმინდა და სათაყვანო ადგილები, გარდასული დროიდან მოღწეული, ჩვენს დროში და განსაკუთრებით ამ ბოლო ხანს შექმნილი სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები. ჩვენი დიდებული მოქანდაკის ელგუჯა ამაშუკელის სიტყვებით რომ ვთქვათ, უკანასკნელი ათი წელი სამართლიანად ითვლება ქართული ხელოვნების რენესანსად. და რამდენად სასაცილოა ავსტრიული „კირხეს“ დარად გადამთიელ ინფორმაციის წყაროთა გაცხარებული ენაჭარტალი ქართული კულტურის ძეგლების სამწუხარო მდგომარეობის შესახებ.

სამწუხარო კი სწორედ ის არის, რომ პრიმიტიულად მოწყობილ გონებას ვერ შეუმჩნევია „წარსულსა და აწმყოს შორის, საუკუნეთა სიღრმესა და თანამედროვეობას შორის გადებული ხიდი“. ეს დიდებული ახსამბლი — „ქართველი დედა“, „მზეჭაბუკი“, „კიდევაც დაიზრდებიან“, „მუზა“, „კოლხი ქალი“, „გალაკტიონ ტაბიძე“. გმირთა და შრომის მემორიალები, შინმოუსვლელთა ტაძარი და სხვა მონუმენტურ-სკულპტურული ნაწარმოებები განა შეიძლება შექმნილიყო ჩვენი სწორუპოვარი წარსულის გარეშე. ყალმისა და საჭრეთლის ჩვენი სასიქადულო დიდოსტატები — ფერმწერები, ხუროთმოძღვრები ეროვნული კულტურის საფუძველზე დაყრდნობით არ ქმნიან განა აწმყოს სულიერი კულტურის ძეგლებს ჩვენთვის და მომავალი თაობებისათვის გადასაცემად!

გამარჯვების პარკში დადგმული ეს დიდებული მემორიალი მიწისქვეშა გასასვლელით მალე შეუერთდება ბაგშვების ცხოვრებისა და სიხარულის სამყაროს „მზიურს“, სიშპბუკის ბოწყინვალე ქალაქი თელეთში ამაყად გასცქერის გაცოცხლებულ ნარიყალას...

ნუთუ არც ერთი არ ჩამოსულა ჩვენთან და არ შეუხედავს ყველაფერი ამისათვის? არ უნახავს ძველი თბილისის შემოგარენი, სადაც ქართული კულტურის დიდებულ მემატიანეებად დგანან აღდგენილი კედლები, კოშკები, ტაძრები, ეკლესიები. ასეა საქართველოს ყოველ კუთხეში. შეხედონ მაინც ხარაზოებში ჩასმულ საფარას, ბაგრატის ტაძარს, უჯარმას, ხერთვისის ციხეს, კუმურდოს, ნიკორწმინდას. ჩამოვიდნენ და ნახონ, როგორ ეჯიბრებიან მამულის, ერის სიყვარულში ძველს აღდგენა და ახლის შენება. ორივე სჭირდება ჩვენი ადამიანის სულს. ამიტომაც ორის ეს დიდებული სამე პოლიტიკის დონემდე ამაღლებული, ასე გონივრულად მოფიქრებული და განხორციელებული.

ნუთუ ეს ძნელი გასაგებია, როცა ყველაფერი ირგვლივ ამაზე მეტყველებს, თვალნათლივ ღაღადებს.

ამ ფიქრებით გართულმა კიბის საფეხურები განვლე და თეთრ სვეტებთან ერთხელ კიდევ გავხედე ღამის სიბნელეში გაბეულ სვრცეს. სიხარულად და მწუხარებად გადმოდენილი ჩანჩქერი ჯერ კიდევ მოჩხრიალებდა საფეხურებზე. კდემამ ოსილი დედა ემზადებოდა მონატრებული შვილის საფლავზე ჩამოსასვლელად, რათა მერე ისევ აღმართულიყო კვარცხლბეკზე, ქარაფებიდან ემცნო ქვეყნისათვის, რა ამაყია და ბედნიერი ასეთი ვაჟკაცის აღმზრდელი, მამულის წინაშე ვალმოხდილი დედა.

თინა ზარგინავა.

ქართული საუნივერსიტეტო წიგნი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის 50 წლისთავი

„ფეოდალიზმი დაამხო... ისეთმა გამოგონებებმა, როგორიც იყო თოფის წამალი და წიგნის საბეჭდი მანქანა“. — კარლ მარქსის ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბეჭდვითს სტყვას კაცობრიობის ისტორიაში.

ეს კარგად ჰქონდა შეგნებული თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელს, დიდ ივანე ჯავახიშვილს. უნივერსიტეტის დაარსებისთანავე, 1918 წელს, იგი ანდობს თავის ერთგულ თანამებრძოლს, ქართული ფილოლოგიის ამკამანდელ პატრიარქს აკაკი შანიძეს ქართული საუნივერსიტეტო წიგნზე ზრუნვას და იგიც, მომდევნო თაობის დიდ წარმომადგენელთან სიმშრომ ყაუხჩიშვილთან ერთად, აქტიურად მუშაობს ამ დარგში. მისი ღვაწლის წარმოსადგენად საკმარისია ითქვას, რომ აკაკი შანიძის უშუალო ინიციატივით, ხელმძღვანელობით და მონაწილეობით შექმნილია ქართული შრიფტის ექვსი ახალი გარნიტური ხელითწყობისა, ლინოტიპისა და მონოტიპისათვის. მის მიერ შექმნილ ერთ-ერთ ქართულ შრიფტს ეწოდება „უნივერსიტეტი“, მეორეს — „შანიძე“, შექმნილია ქართული შრიფტი ასაწყობ-საწერი მანქანისა და ეგრეთ წოდებული ვარიტაიპერისათვის. ეს შრიფტი მეტად ლამაზი და კომპაქტურია.

და აი, ოციანი წლებიდან დიდი საგამომცემლო მუშაობა გაჩაღდა თბილისის უნივერსიტეტში. უკვე 1923 წელს გაისსნა საკუთარი სტამბა-ლითოგრაფია, რომლის ბაზაზეც ბევრი მნიშვნელოვანი წიგნი დაიბეჭდა. ეს სტამბა დღეს ჩვენთან ერთად იხდის თავის 60 წლისთავს. 1933 წლიდან შეიქმნა საკუთარი საუნივერსიტეტო გამომცემლობა, რომლის 50 წლისთავს 6 ივნისს აღვნიშნავთ.

საბჭოთა სახელმწიფომ, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და მთავრობამ დასახეს და განახორციელეს უდიდესი ღონისძიებანი, რომელთაც არა თუ მოსპეს ჩვენი საუკუნეობრივი ჩამორჩენა ბეჭდური სიტყვის დარგში, დაგვაწინაურეს კიდეც და ერთ-ერთი მოწინავე ადგილი მოგვიპოვეს, რაც თვალსაჩინოდ დასტურდება შემდეგი მონაცემებით: 1919 წელს ჩვენ 500 სტუდენტი გვყავდა, ამჟამად უნივერსიტეტში 17 ათასი სტუდენტია, და ამ მაჩვენებლით მე-5 ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირის 70 უნივერსიტეტს შორის. ესე იგი თავისი არსებობის 65 წლის მანძილზე უნივერსიტეტი გაიზარდა 34-ჯერ. ამავე დროს უნივერსიტეტის მიერ 1983 წელს გამოსაშვები ლიტერატურის მოცულობა 9 მილიონ ანაბეჭდს შეადგენს ნაცვლად 1919 წლის 50 ათასი ანაბეჭდისა, ესე იგი საგამომცემლო საქმე უნივერსიტეტში გაიზარდა თითქმის 200-ჯერ. ამ მხრივ ჩვენ მესამე ადგილი გვიჭირავს საბჭოთა კავშირის საუნივერსიტეტო გამომცემლობათა შორის — მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტების შემდეგ. ხუთწლედის ბოლომდე ჩვენ კიდევ 2 მილიონით უნდა გავზარდოთ პროგრამა და 11 მილიონ ანაბეჭდ-ფურცელს მივაღწევთ.

უნივერსიტეტის გამომცემლობა მოწოდებულია გამოუშვას სასწავლო ლიტერატურა, აგრეთვე ლიტერატურა მეცნიერების უახლეს და ვიწროსპეციალურ დარგებში. სასწავლო ლიტერატურას ჩვენს პროდუქციაში დიდი ადგილი, თითქმის მესამედი უჭირავს, დანარჩენი ორი მესამედი სამეცნიერო ლიტერატურაზე მოდის, რომელიც ჩვენი საქმიანობის ძირითადი დარგია.

უნივერსიტეტის გამომცემლობამ პირველმა გამოაქვეყნა ისეთი გამოჩენილი ქართველი მეცნიერთა შრომები, როგორიც არიან: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, სიმონ ყაუხჩიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, ნიკო მუსხელიშვილი, ანდრია რაზმაძე, ილია ვეკუა და სხვები.

უნივერსიტეტმა დიდი რაოდენობით გამოუშვა საშუალო და ახალგაზრდა თაობების ქართველ მეცნიერთა შრომები ცალკე წიგნების და შრომათა კრებულების სახით. კერძოდ, „უნივერსიტეტის შრომები“, სადაც ქვეყნდება ჩვენს უნივერსიტეტში გაწეული მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის შედეგები. დღემდე გამოქვეყნებულია 250 ტომი. ამ შრომებმა ფართო საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

უნივერსიტეტის გამომცემლობა ბეჭდავს სალექციო კურსებს, სასწავლო-მეთოდიკურ ლიტერატურას, პროგრამებს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს „თბილისის უნივერსიტეტის ბერძნულ-ლათინური ბიბლიოთეკა“, რომლის სერიითაც იბეჭდება ამ ენაზე შექმნილი კლასიკური ლიტერატურის ქმნილებათა ქართული თარგმანები, რომელთაც დიდი მოწონება ხვდა. ერთ-ერთი მთავარი თემა ჩვენი გამომცემლობის უახლესი ლიტერატურისა გახლავთ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი. მისდამი მიძღვნილი ოთხი შრომა უკვე გამოსულია, ორი სხვაც — მალე გამოვა.

ჩვენმა გამომცემლობამ ნახევარი მილიონი ეგზემპლარი ტრაქტატი გამოუშვა ქართული ენის თვითმასწავლებელი, რომელიც მთლიანად გავრცელდა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში და საზღვარგარეთ და რომელზეც ამჟამადაც დიდი მოთხოვნილებაა.

უნივერსიტეტის მთელი რიგი გამოცემები პრემირებულია სპეციალური რესპუბლიკური, საკავშირო და სახელმიძღვნო პრემიებით.

გულახდილი საუბარი „გულახდილ დიალოგზე“

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკურმა გამგეობამ, საზოგადოების ოქტომბრის რაიონული ორგანიზაციისა და თბილისის ჩარხმშენებლობის საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პირველადმა ორგანიზაციამ მოაწყვეს „გულახდილი დიალოგის“ მეორე წიგნის განხილვა, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების ცენტრმა გამოსცა.

განხილვაში მონაწილეობდნენ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების წევრები — ინსტიტუტის პარტიეტოროს მდივანი თ. შუბლაძე, განყოფილებათა გამგეები გ. ცირეკიძე და მ. ნიკოლეიშვილი, სექტორის გამგე ი. ხარებავა, მთავარი ინჟინერი ა. პულუზამვილი, ბიბლიოთეკის გამგე ლ. სირაძე და რესპუბლიკური გამგეობის უფროსი რედაქტორი ვ. ინაური, რომლებმაც აღნიშნეს, რომ კრებული ქმედითს დახმარებას გაუწევს პარტიული და იდეოლოგიური დარგის მუშაკებს, ჩვენს ახალგაზრდობას, მოსახლეობის ფართო ფენებს. რათა მათ სწორი ინფორმაცია ჰქონდეთ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული განვითარების სადღეისო ამოცანებსა და მომავლის პერსპექტივებზე, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე. კრებულში შესული კითხვები და პასუხი, ცხადია, თანაბრად რთული და მწვავე, ერთნაირად უცნობი. ან ახალი არ. იქნება, მაგრამ ყოველი მკითხველი „გულახდილ დიალოგში“ იპოვის თავისთვის საინტერესოსა და სასარგებლოს, რადგან ეს წიგნი მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობასთან.

ნ. შეყლაშვილი.

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ამხ. შოთა მათეს ძე ეცადაშვილი საქართველოს სსრ მინისტრის — საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

● 4 ივნისი, 1983 წ. ●

● არგენტინა

კომპარტიის ნარმატება

ბუენოს-აირესი. არგენტინის კომუნისტურმა პარტიამ მიიღწია ოფიციალურ რეგისტრაციას, როგორც პოლიტიკურმა პარტიამ. მთელ რიგ სხვა პოლიტიკურ პარტიებთან ერთად მას მიეცა უფლება კანონიერ საფუძველზე მიიღოს მონაწილეობა მომდინარე წლის საყოველთაო არჩევნებში, რომელიც გაიმართება 30 ოქტომბერს.

იურიდიულ ხელისუფალთა გადაწყვეტილებაში ნაზგასმულია, რომ არგენტინის კომპარტია „ცნეს ეროვნულ პარტიად, რომელსაც აქვს განსაკუთრებული უფლება თავს უწოდოს კომუნისტური პარტია“. გადაწყვეტილებაში ცნეს „კომპარტიის წესდება, მისი პოლიტიკური მოქმედება, პრინციპების დეკლარაცია, რომლებიც შეესაბამება მოქმედ კანონს“.

ამიგად, წარმატებით დამთავრდა ბოლო თვეების მანძილზე გაჩაღებული კომპარტიის მომხრეთა სულ ცოტა 36 ათასი ხელმოწერის შეკრება, რომლებიც საჭირო იყო მისი რეგისტრაციისათვის. არგენტინის კომპარტიამ საბოლოო ანგარიშით შეკრიბა 100 ათასზე მეტი ხელმოწერა. თავისი არსებობის 65 წლის მანძილზე მან ოფიციალურად პირველად მიიღო არგენტინის პოლიტიკური პარტიის სტატუსი.

ახლა კომპარტია იღებს იმისათვის, რომ ქვეყნის 24-ვე საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატაროს თავისი ორგანიზაციები.

შრომა და კაპიტალი

● გზრ

„ძალა ერთობაშია“

არ ნელდება კლასობრივი ბრძოლის ეცხლი რურის სამრეწველო ცენტრში სამუშაო ადგილების შენარჩუნებისათვის. „ძალა ერთობაშია“ — აცხადებენ კონცერნ „ხოშის“ დორტმუნდის უდიდესი მეტალურგიული ქარხნის მშრომელები, რომლებმაც მანიფესტაცია მოაწყვეს. ერთიანი ფრონტით ილაშქრებენ ისინი ადმინისტრაციის იმ განზრახვის წინააღმდეგ, რომ წარმოების კრიზისული დაქვეითების პროგრამებში ზედმეტი მუშახელის დათხოვნით შეინარჩუნონ თავიანთი მოგება. საბრძოლოდ განწყობილი მეფოლადეები მზად არიან მტკიცედ დაიცვან თავიანთი შრომის უფლება.

საკლესის ფოტო.

დამახინჯებული ლოგიკა

ამერიკელი სენატორი რეიგანის გეგმის წინააღმდეგ

ვაშინგტონი. დემოკრატიული პარტიისაგან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა სენატორმა გერი ჰარტმა გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ჩამოაყალიბა დამაჯერებელი მოსაზრებანი „მექს“ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების შექმნისა და განლაგების პროგრამის წინააღმდეგ, რომელსაც ჯიუტად იცავს რეიგანის ადმინისტრაცია.

სენატორმა, კერძოდ სასტიკად გააკრიტიკა პრეზიდენტ რეიგანის მტკიცებანი, თითქოს შეიარაღებისადმი კონტროლის გზა მხოლოდ სტრატეგიული არსენალების გადადებაზე გადის. „დიდად მაშფოთებს ეს დამახინჯებული ლოგიკა, რომელიც შავს ასაღებს თეთრად, შეიარაღების ზრდას — შეიარაღებისადმი კონტროლად, ომის საფრთხეს კი მშვიდობის უზრუნველმყოფ პოტენციალად“, — წერს იგი.

გ. ჰარტს მიაჩნია, რომ „მექს“ სარაკეტო სისტემის განლაგება არ განამტკიცებს ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ უშიშროებას, პირიქით, წერს სენატორი, იგი „შეიფერხებს შეიარაღებისადმი კონტროლის პროცესის გამოყენებას იქიდან, სადაც იგი დღეს არის, სახელდობრ კი ღრმა ჩიხიდან“. უფრო მეტიც, საბჭოთა კავშირის მიერ ამ დარგში საპასუხო ღონისძიებათა განხორციელება უთუოდ უბიძგებს ორივე სახელმწიფოს ბირთვული ომისაკენ, ზაზს უსვამს სენატორი.

სენატორი უარყოფს რეიგანის თეზისს, რომ „მექს“ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები „კოზირია“ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ენენვის მოლაპარაკებაზე. მისი აზრით, ბაზირების წამოყენებული ვარიანტით „მექს“ სისტემა უაღრესად მოწყვლადია საბჭოთა კავშირის საპასუხო დარტყმის შემთხვევაში.

გარდა ამისა, წერს ჰარტი, რეიგანის ადმინისტრაციის ნამსახურობის სია, რომელიც შეიცავს კატეგორიულ უარს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების რატიფიკაციაზე, ეენევის მოლაპარაკების დაწყების ხანგრძლივ გაჭიანურებას, უარს აწარმოოს მოლაპარაკება ბირთვული გამოცდის ყოვლისმომცველი აკრძალვისათვის, აგრეთვე პრინციპულად ახალ საფუძველზე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნის პროგრამის გამოცხადება, სერიოზული ეჭვის ქვეშ აყენებს შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში თეთრი სახლის მიერ სჯაროდ გამოცხადებული განზრახვების წრფელობას, რომლებსაც ახლანდელი პრეზიდენტი უშუალოდ უკავშირებს „მექს“ პროგრამის შემდგომ დაშუშავებას.

და ბოლოს, აღნიშნავს სენატორი, თეთრი სახლის არგუმენტები, რომ საჭიროა „მექს“ პროგრამის განვითარება ამერიკის შეერთებული შტატების „ეროვნული ნების“ ჩვენებისათვის, რათა აიძულო საბჭოთა კავშირი დათანხმდეს შეერთებულ შტატებს დათმობებზე მოლაპარაკების დროს, სრულიად უსაფუძვლო და მანკიერია, რადგან ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით სსრ კავშირზე ძალისმიერ ზეგავლენას არასოდეს მოჰყოლია წარმატება.

ვ. ივნისი

ეკონომიკა

ფაქტები მოვლენები საკლესი იუფყეგა

● აშშ

რეიგანის საიდუმლო გრძანება

ნიუ-იორკი. როგორც ეი-ბი-ენ ტელეკომპანია იუწყება, გასული წლის დეკემბერში პრეზიდენტმა რეიგანმა უბრძანა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს შეუდგეს ხაიდუმლო ოპერაციას სურინამის — ლათინური ამერიკის პატარა ქვეყნის მთავრობის დასამხობად, რომლის პოლიტიკა ხელს არ აძლევს ვაშინგტონს.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა უილიამ კეისიმ კონგრესის ორივე პალატის დაზვერვის კომისიებს გააცნო დაგეგმილი ოპერაცია, რომელიც რამდენიმე მილიონი დოლარი დაუჯდება ქვეყანას. ეს თანხა გულუხვად გამოყო რეიგანის ადმინისტრაციამ ემიგრანტი ნაძირალებისგან „მეიმბოხეთა ძალების“ შექმნისა და მათი დახმარებით არსებული მთავრობის დამხობისათვის.

როგორც ეი-ბი-სი აღნიშნავს, რეიგანის ადმინისტრაციის გეგმას სულაც არ გამოუწვევია ენთუზიაზმი კონგრესში. ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ და თეთრმა სახლმა, რომლებმაც ვერ შეძლეს წარმოედგინათ სურინამის მხრივ ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროებისათვის შექმნილი საფრთხის რაიმე დამამტკიცებელი საბუთი, მოიშველიეს აშკარად სასაცილო არგუმენტი, როცა განაცხადეს, რომ თუმცა სურინამი ახლა არავის არავითარ საფრთხეს არ უქმნის, მაგრამ შეიძლება ოდესღაც მომავალში შეუქმნას, და ამიტომ, უნდა ვიმოქმედოთო.

„სურინამის მთავრობა თავისი თვალსაზრისით ახლოსაა კუბასთან. ჩვენ ღრმად ვართ შეშფოთებული იმით, რომ სურინამში იქმნება კუბის ტიპის რეჟიმი, თუმცა ამაში ჯერჯერობით დარწმუნებული არა ვართ“, განაცხადა ეი-ბი-სი-სათვის მიცემულ ინტერვიუში ამერიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ფრედ იკლემ.

გადაადგილებანი ადმინისტრაციაში

ვაშინგტონი. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯ. შულცმა გამოაცხადა ადმინისტრაციის იმ მალალი თანამდებობის პირთა ახალი გადაადგილების შესახებ, რომლებსაც ცენტრალური ამერიკის პრობლემები ანბარიათ. კერძოდ, პოსტიდან გადაყენებულია ამერიკის ელჩი სალვადორში დინ ჰინტონი. მის ადგილას დაინიშნა კადრის დიპლომატი თომას პიკერინი.

აგრეთვე გამოაცხადეს, რომ სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ამერიკის სახელმწიფოთა საკითხებში თომას ენდერსი „გადაყვანილია სხვა თანამდებობაზე“.

მომომხელელები აღნიშნავენ, რომ თეთრი სახლის მიერ განხორციელებული დიპლომატიური გადაადგილებანი მოწმობს ადმინისტრაციის სწრაფვას გამაკაცროს თავისი პოლიტიკა ცენტრალური ამერიკის მიმართ, სადაც შეერთებული შტატები იმედს ამყარებს რეაქციული რეჟიმის მხარდაჭერაზე. კერძოდ, როგორც აქ მიაჩნიათ, ენდერსის გადაყენება საბოლოოდ გაუხსნის ხელ-ფეხს პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვის იმ მოღვაწეებს, რომლებიც ცდილობენ მკვეთრად გაიქცეურონ ამერიკის შეერთებული შტატების როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო ჩარევა ამ რეგიონის სახელმწიფოთა საქმეებში.

ყველა პარტია აქტიურობს

რომი. იტალიაში ძალას იკრებს საარჩევნო კამპანია იმასთან დაკავშირებით, რომ 26-27 ივნისს გაიმართება პარლამენტის ვადამდელი არჩევნები. მასში აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის ყველა პოლიტიკური პარტია.

ძირითადი ბრძოლა ჩაღდება წამყვასან ბურჟუაზიულ ქრისტიანულ-დემოკრატიულ

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲣᲛᲐᲠ-ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ „ᲛᲝᲡᲤᲘᲚᲛᲘᲡᲘᲡ“ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (სკ. კორ. მ. გორგილაძე). გულობილად მიეგება გუშინ საქართველოს თვალწარმტაცი კუთხე აჭარა „მოსფილმის“ შემოქმედებითს კოლექტივს ბათუმის აეროდრომზე. სტუმრებს შორის ჰრიან „მოსფილმის“ კოლეგიის წევრი ი. სოფიევა, კინორეჟისორები გ. ეგიაზაროვი, რ. ფრუნტოვი, მსახიობები ლ. პრიგუნოვი, ე. ციპლიაკოვა, მ. ტერეხოვა, ლ. ნილსკაია.

დამბვდურთა შორის იყვნენ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. გუგუნავა, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი მდივანი ე. შენგელაია, კინოკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ძიძიგური, აჭარის ასსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ლ. ბოლქვაძე, ქართველი რეჟისორები, მსახიობები, ბათუმის შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები.

შეხვედრა აღსავსე იყო სითბოთი და მეგობრული სიყვარულით.

ნაშუადღევს სტუმრები მიიღეს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში.

ᲐᲛ ᲝᲠᲐᲛᲝᲪᲓᲐᲮᲣᲗᲘ წლის წინათ აპოლონ მახარაძის ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირდა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობას და ახალგაზრდა ფილოლოგ სპეციალისტთა აღზრდას. და ახლა, როცა გავლილია ცხოვრების ერთი, ფრიად სოლიდური მონაკვეთი, სრული დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აპოლონ მახარაძის სახით ქართულ მეცნიერებას ჰყავს უადრესად საინტერესო, ღრმად განსწავლული, კეთილსინდისიერი მკვლევარი, ხოლო სტუდენტ-ახალგაზრდობას გულისხმიერი და უანგარო აღმზრდელი, მჭევრმეტყველი და პრინციპული ლექტორი.

მან 1937 წელს დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და იმ წელსვე დატოვეს ასპირანტურაში ახალი ქართული ლიტერატურის სპეციალობით. მისი საკანდიდატო დისერტაციის თემა იყო „გრიგოლ ორბელიანის ცხოვრება და შემოქმედება“, 1958 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ალექსანდრე ყაზბეგისა და ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობის ძირითადი საკითხები“.

მეცნიერული მუშაობა სტუდენტობის წლებშივე დაიწყო. 1937 წელს, ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო ზეიმთან დაკავშირებით, გამოაქვეყნა პირველი წერილები და ნარკვევები.

1938 წლიდან დღემდე შეუცვლელად დგას კათედრაზე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობს ახალი (მეცხრამეტე საუკუნის) ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს.

მისი დამსახურება არაერთგზის აღინიშნა მთავრობის ჯილდოებით. 1953 წელს საპატიო ნიშნის ორდენით დააჯილდოვეს, ხოლო 1972 წელს დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა.

აპოლონ მახარაძის ცხოვრების

ᲐᲞᲝᲚᲝᲜ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ 70 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲖᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ

გზა თარიღთა და პერიოდთა მრავალფეროვნებით არ გაგაკვირვებთ, არც ღვაწლმოსილი პროფესორის შრომითი გეოგრაფიაა ძასტაბური (მას ჩვენი უნივერსიტეტის გარდა არსად უმახსოვრია), მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. გულისყურიანი კაცისთვის იგი შესანიშნავი მაგალითია თანამიმდევრული, გასაოცრად შრომისმოყვარე და ნაყოფიერი მეცნიერისა და იმგვარი პროფესორისა, სტუდენტ ახალგაზრდობას მაღალი ზნეობის გაკვეთილად რომ გამოადგება.

მეცხრამეტე საუკუნე ქართული მწერლობის უაღრესად საინტერესო პერიოდია. სოციალური წინააღმდეგობებით ამ დრამატულ საუკუნეს მარტო შეხედულებათა და რწმენათა ჭიდილი როდი ახლდა, მეცხრამეტე საუკუნემ თან მოიტანა დიდი ლიტერატურა რომანტიზმისა და კრიტიკული რეალიზმის კლასიკური მემკვიდრეობის სახით. ეროვნულს სოციალურ-პოლიტიკურ და ესთეტიკურ საკითხებში უნდა ერკვეოდეს მეცნიერი, რომელიც გასული საუკუნის მხატვრული აზროვნების შესწავლის მიზნს დაისახავს. მეცხრამეტე საუკუნის მწერლობის გამოჩენილ მკვლევართა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინოა აპოლონ მახარაძე.

ჩვენი ფილოლოგიის წიგნის თაროს აპოლონ მახარაძის სხვა ნაშრომთა შორის ოთხი განსაკუთრებულ მნიშვნელოვანი ნაშრომი ამშვენებს: „ქართული რომანტიზმი“ და „ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევების“ სამი ტომი. მეცხრამეტე საუკუნის საზოგადოებრივი და ესთეტიკური აზრის ისტორიის მკვლევარი ამ ნაშრომებს გვერდს ვერ აუვლის, უფრო მეტიც: ეს წიგნები კარგა ხანია გასცდა მეცნიერულ სალონებს და მოსწავლე ახალგაზრდობისა და პრაქტიკოსი პედაგოგ-ფილოლოგებისათვის სამაგიდო წიგნებად იქცა. აპოლონ მახარაძის მეცნიერული ნაშრომების პოპულარობა განპირობა იმ გარემოებამაც, რომ ავტორი წერს ლაპიდარული, დემოკრატიული სტილით. მეტყველებს სადად, ჰარბი მეცნიერული ტერმინოლოგიისა და ბუნდოვანების გარეშე. ცდილობს ნაშრომი რაც შეიძლება მეტ საქმიან ინფორმაციას შეიცავდეს, ზოლო რეზიუმე მოკლე და საქმიანი იყოს.

მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობას მკვლევართა ყურადღება არ მოჰკლებია, მაგრამ აპოლონ მახარაძეს საკითხთა ერთი წყების შესწავლაში პიონერობა ხვდა წილად და პირველმეფქვლის უპირატესობასაც დაიჩემებს, ხოლო უკვე შესწავლილ პრობლემებს მხოლოდ იმიტომ მიუბრუნდა, რომ მათში ზოგი რამ ახლებურად დაენახა და კითხვის ნიშნის ქვეშ დატოვებული საკითხი მეცნიერული ლამპრით გაეშუქებინა. მაგალითად, პროფესორმა აპოლონ მახარაძემ ქართველ რომანტიკოსთა რიგები ახალი სახელებით გაამდიდრა, უფრო სწორად, რამდენიმე ჩრდილში მირჩენილი სახელი გამოამზეურა, მათს შემოქმედებას დავიწყების მტვერი გადააცილა და კლასიკოს რომანტიკოსთა სახელოვან ელიტას (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი) გვერდით ამოუყენა. ბევრი ახალი საარქივო მასალით და მანამდე უცნობი წყაროებით გაამდიდრა კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა შესწავლის საქმე, ამასთან ერთად, აპ. მახარაძემ ერთ-ერთმა პირველმა ღრმად გააშუქა იაკობ გოგებაშვილის მხატვრული და კრიტიკული მემკვიდრეობა.

ღვაწლმოსილი მეცნიერი არაერთი ასპირანტისა და მეცნიერ-მაძიებლის ავტორიტეტიანი, გულისხმიერი ხელმძღვანელი და კონსულტანტია.

ამ სტრიქონების ავტორები მრავალრიცხოვანი მეგობრებისა და კოლეგების სახელით ახალ-ახალ შემოქმედებითს გამარჯვებას და დღეგრძელობას ვუსურვებთ პროფესორ აპოლონ მახარაძეს.

პ. კეკელიძე,
რ. მიუველაძე,
პროფესორები.

ᲛᲔᲥᲘᲛᲔ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘ

Მ. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲘᲡ „ᲥᲐᲛᲗᲐᲑᲔᲠᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ“ ᲒᲝᲠᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ წარსული, მისი ტრაგიკული ისტორია ყოველთვის იძლეოდა შესანიშნავ მასალას პატრიოტული სულისკვეთების სპექტაკლის შესაქმნელად. ქართულ თეატრს კარგი ტრადიცია აქვს ამ მხრივ. მისი სცენიდან ხშირად გაისმოდა მგზნებარე სიტყვა, რომელიც ალათნებდა ქართველის გულს, ეროვნული სიამაყის გრძნობით აღავსებდა მის სულს, სადღეისო ჭირ-ვარამის წინააღმდეგ საბრძოლველად განაწყობდა მას. სამწუხაროდ, არც ყალბი პათოსით, ცრუ პატრიოტიზმით გამსჭვალული პიესები გვაკლდა როგორც უწინ (ამის შესახებ შესანიშნავად წერდა თავის დროზე ილია ჭავჭავაძე), ისე უახლოეს წარსულშიც, რის გამოც არაერთი ცხარე წერილიც დაწერილა.

პათეტიკისადმი, რომანტიკული ტონისადმი ირონიულმა დამოკიდებულებამ (ხშირად სამართლიანადაც!) ქართული თეატრის სცენიდან თითქმის გააძევა ეგრეთ წოდებული „ისტორიული პიესა“, საერთოდ ისტორიული თემატიკა. მაგრამ ჩვენი მაყურებლის გული ჯერ ისე არ გაცივებულა, რომ მას არ აინტერესებდეს თავისი წარსულის ამაღელვებელი ფურცლები. შეიძლება ითქვას, რომ საქმე პირიქით გახლავთ.

ამის დადასტურება იყო რესპუბლიკური თეატრალური ფესტივალის მეორე დღეს გორის გ. ერისთავის სახელობის თეატრის მიერ წარმოდგენილი მ. ჯაფარიძის „ყამთაბერის ასული“. თბილისელმა მაყურებელმა კარგად მიიღო ეს სპექტაკლი, რაც მოწმობს არა მარტო იმას, რომ მას უბრალოდ მოეხატრა ისტორიულ თემაზე შექმნილი სპექტაკლი, არამედ იმასაც, რომ მან ბევრი რამ საგულისხმო და ამაღელვებელი დაინახა მასში.

სპექტაკლი დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა შოთა კობიძეს, რომელიც თავის მეუღლესთან, რეჟისორ ქეთევან ხარშილაძესთან ერთად ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩაუდგა თეატრს სათავეში. უეჭველად მისსალმებელია როგორც ის გულწრფელი ენთუზიაზმი და ენერგიულობა, რითაც ახალგაზრდებმა მოჰკიდეს ხელი საქმეს, აგრეთვე საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრებისადმი ის განწყობელება, რომელიც ახლა სუფევს გორის თეატრში.

თეატრი კი უკანასკნელი სეზონების მანძილზე პირდაპირ მოწყურებული იყო სერიოზულ და თანამედროვე მუშაობას.

მ. ჯაფარიძის „ყამთაბერის ასული“ არ არის წმინდა ისტორიული დრამა იმ თვალსაზრისით, რომ მასში არ არიან გამოყვანილნი კონკრეტული ისტორიული პიროვნებანი და არც დროის რეალიებია ზუსტად მინიშნებული. მაგრამ პიესის მთელი შინაარსი, მისი კოლორიტი, დროის სულისკვეთება სწორად გვაგრძნობინებს ჩვენი წარსულის გარკვეულ დრამატულ ვითარებას, რომელიც ‚გამოწვეული იყო საქართველოს დაქუცმაცებითა და სამთავროთა შინაომით.

ვისაც ახსოვს კ. მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე დადგმული ეს პიესა, დამეთანხმება, რომ მასში ძალზე სიმპათიურად, თბილი ტონებით იყო გადმოცემული იმერული კოლორიტი, ხოლო ხასიათები მკვეთრი ფერებით, მომახიბლავი ბუნებრივი სილაღით წარმოგვიდგინეს შესანიშნავმა მსახიობებმა ს. ზაქარაიძემ, შ. ღამბაშიძემ, ა. კვანტალიანმა და განსაკუთრებით გ. კოსტავამ. სხვა რაიმე განსაკუთრებული პრეტენზია ამ სპექტაკლს არ ჰქონია.

სულ სხვა ვითარებაა დღევანდელ სპექტაკლში. ახალგაზრდა რეჟისორს მისი ასაკისათვის შესაფერისი მაქსიმალიზმით სურს გაცილებით მეტი თქვას საქართველოს წარსულზე, მის ტრაგიკულ ბედზე, ქართული ხასიათის ბუნებასა და ტრაგიკულ კოლიზიებზე, ვიდრე ამის საშუალებას თვით პიესა აძლევდა. შთაბეჭდილება ისეთია, რომ რაც რეჟისორ შ. კობიძეს თავისი გამოცდილების, ფიქრისა და ცოდნის წყალობით სათქმელი დაუგროვდა (წარსულისა თუ თანამედროვე ცხოვრების გამო) მაინცდამაინც ამ პიესის დადგმით სურს გამოხატოს. ამ მიზნს ემსახურება პიესის საზღვრების ერთგვარი განზიდვა, მისი მასშტაბების გაზრდა, მაგალითად, ქალთა უსიტყვო გუნდის შემოყვანა (სხვადასხვა პლასტიკური ეტიუდებით), სცენის „კადრს მიღმა“ ხმა, რომელიც ქართულ მატიანეთა გულისშემძვრელ პასაჟებს გვამცნობს, სპექტაკლის პერსონაჟად ქცევა ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდისა, რომელიც „ისტორიიაში შედის“ და დღევანდელი თვალით კითხულობს მის ფურცლებს. რეჟისორის ეს სურვილი—ძმაფრად, კონფლიქტურად და მნიშვნელოვნად წარმოგვიდგინოს ისტორიული კოლიზიები — სრულიადაც არ არის დასაძრახისი. სამწუხაროა მხოლოდ ის არის, რომ მისი ეს სურვილი არ ეყრდნობა პიესის რეალობას.

ყველა ეს რეჟისორული გამონაგოხი არ არის ქცეული პიესის (და, ბუნებრივია, სპექტაკლის) ორგანულ ნაწილად და ამ გარეგნული სურათებით თუ პლასტიკურად ასე თუ ისე გამართული სცენებით სპექტაკლი შემადგენელ ნაწილებად იშლება, ფორსირებული სახახაობის ფორმებს იძენს, სადაც „ლაღად“ გრძნობს თავს ერთგვარი ცრუპათეტიკურობა და შემაწუხებელი რიტორიზმი.

რეჟისორს ამავე დროს სურს განზოგადებული ხასიათი მიანიჭოს სპექტაკლში ნაჩვენებ სამყაროს. სცენოგრაფიის თვალსაზრისით (გაფორმება: ზეკიდან დაშვებული ყვითელი ფარდები ცხობილ ისტორიულ პირთა კინტურული პორტრეტებით), იგი ლაპიდარულია, სადა. სცენა განთავისუფლებულია აქსესუარებისაგან და ისტორიული „კოლორიტული საგნებისაგან“, რაც ხშირად ბუტაფორიულ შთაბეჭდილებას ანდენს ხოლმე. სცენა ძირითადად სულ თავისუფალია, ხანდახან თუ ეშვება ფარდები. ეს ასკეტიზმი, თვითშეზღუდვა, ბევრს ავალებს რეჟისორსა და მსახიობებს. ასეთ ვითარებაში მსახიობის დიდი ოსტატობა და შინაგანი კონცენტრაცია სჭირდება, ამას კი ვერ ვხედავთ სცენაზე, რის გამოც სცენური გარემო ხშირად მართლა „ცარიელია“, მას ვერ ავსებს მსახიობი, სისადავე კი თავის ანტიპოდშია გადაზრდილი.

უეჭველად შთამბეჭდავია, რომ იმერეთის მეფის პორტრეტი (მსახიობი გ. ბასიშვილი) მკაცრი შტრიხებით არის შესრულებული, თავისუფალია პომპეზურობისაგან. მისი სახე მაშვრალის — მთიბავისა თუ გუთნისდედის ნაოჭებითა და მუმუნვარებით არის სავსე. კარგია, რომ იგი ერთგვარ სცენურ კვარცხლბეკზე არ არის შემდგარი და იქიდან არ გვიქადაგებს პატრიოტულ ტირადებს, მაგრამ ამ ტირადების ბუტაფორიულობის აზრი და ფორმა არ იცვლება იმით, საიდან წარმოთქვეს ისინი — კვარცხლბეკიდან თუ ცეკვა „ხორუმივით“ გადაჭდობილ უბრალო მაშვრალ და მეომარ ქართველთა მწკრივიდან.

სპექტაკლში არის საგულისხმო მომენტი, რომელიც, როგორც ჩანს, რეჟისორის ძირითადი აზრის გამომხატველად უნდა ქცეულიყო. როგორი შინაგანი წინააღმდეგობაც უნდა იყოს, საქართველო კრიზისულ ვითარებაში, საბედისწერო დროს ყოველთვის პოულობს თავის თავში შემაკავშირებელ ძალას. ცხოვრების ორი უკიდურესი, კულმინაციური დაძაბულობის ჟამს — მარცხისა და გამარჯვების ჟამს — იგი ერთიანდება, რათა მათ შუალედებში ისევ დრამატულ კოლიზიებში გაიხლართოს. ეს მომენტი ერთი-ორი პლასტიკური მიზანსცენით არის გადმოცემული. მაგრამ შემდეგ და შემდეგ პიესის სიუჟეტსა და გულუბრყვილო პროპეტიებში ეს აზრი თანდათან იკარგება. საქმეს ვერ შველის ამ თეზისის პედალიზება, მისი მრავალგზის სიტყვიერი განმეორება. რეჟისორი თითქოს არ ენდობა მაყურებელს და რამდენჯერმე ჩასძახებს მას ცნობილ ჭეშმარიტებას, როცა ინფორმაციის და არა სცენური სახიერების დონეზე რჩება.

სპექტაკლის ყველა მონაწილე (სასიამოვნოა, რომ სცენაზე ბევრ ახალგაზრდას ვხედავთ) გულწრფელად არის მოწოდინებული, რომ მაქსიმალურად, ენერგიის დაუზოგავად შეასრულოს რეჟისორის მიერ დაკისრებული ამოცანები. პატივისცემის გრძნობას აღძრავს ამგვარი თავგადადება, რაც ერთგვარად ახელებს ჩვენს კრიტიკულ პათოსს. მაგრამ ამ თეატრისადმი პატივისცემა მავალებს დავსაკვნა, რომ, სამწუხაროდ, სპექტაკლი მრავალი შეურიგებელი წინააღმდეგობით არის სავსე. იგი მოკლებულია მხატვრულ მთლიანობას და სცენურ სიმართლეს, აქტიურად ეწააღლება ხელოვნურობა და ბუტაფორია.

შოთა კობიძე ახალგაზრდა შემოქმედია. მას დიდი გზა აქვს გასავლელი ხელოვნებაში. დარწმუნებული ვარ, ისიც იცის, თუ რა მძიმეა რეჟისორის გვირგვინი და რაკი ეს რთული პროფესია აირჩია, ხშირად მოუწევს მკაცრი სიმართლის მოსმენაც, რაც ყოველთვის როდია სასიამოვნო.

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲒᲣᲠᲐᲑᲐᲜᲘᲫᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: **სპექტაკლი „ყამთაბერის ასული“ სცენა. ყამთაბერი (მარცხნივ) — მსახიობი ო. ქუთათელაძე, მერაბი — მსახიობი თ. რევაზიშვილი.**

Ვ. ᲒᲔᲜᲔᲑᲘᲣᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲖᲠᲝᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲦᲔᲑᲐ

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ მუსიკალური კოლექტივები, სოლისტ-შემსრულებლები მიიღებენ მონაწილეობას სსრ კავშირის დღეებში საქართველოს სსრ მაგალითთან, რომელიც 4-12 ივნისს ეწყობა საარბრიუკენში — თბილისის პარტნორ ქალაქში. იგი ეძღვნება ამ ქალაქების დამეგობრების მეათე წლისთავს. იმათ შორის, ვინც საზღვარგარეთ დაიკავებს საბჭოთა საშემსრულებლო სკოლის ღირსებას, არიან საქართველოს სახელმწიფო სიმღერებისა და ცეკვების ანსამბლი, რესპუბლიკის სახელმწიფო ფოლკლორული ანსამბლი ჭოხონელიძისა და რ. გოგოლაშვილის სამხატვრო ხელმძღვანელობით. საარბრიუკენსა და საარის მხარის ქალაქებში გამოვა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველისა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი ლიანა ისაკაძე. ქართველი მუსიკოსი საარბრიუკენის ორკესტრის თანხლებით, რომელსაც ხელმძღვანელობს ზიგფრიდ კელერი, შეასრულებს სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური პრემიის ლაურეატის ოთარ თაქთაქიშვილის სავიოლინო კონცერტს. ამას გარდა ლიანა ისაკაძე თვითონ უდირიჟორებს ამ ორკესტრს, რომელიც შეასრულებს რუსთაველის პრემიის ლაურეატის სულხან ნასიძის მესამე კამერულ სიმფონიას, საქართველოს სახალხო არტისტის რევაზ ლაღიძის სიმფონიურ სურათს „საჭიდაოს“, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ანდრია ბალანჩივაძის მესამე სფორტეპიანო კონცერტს, რომელშიც სოლისტად გამოვა რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსის ლაურეატი, პიანისტი მარინე მდივანი.

გაიხსნება ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, ბავშვთა ნახატების ექსპოზიცია. (საქინფორმი).

Დ. ᲑᲔᲠᲐᲘᲐ



გარდაიცვალა პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრი, საქალაქო საბჭოს დეპუტატი, სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე დემურ შალვას ძე **ᲑᲔᲠᲐᲘᲐ.**

იგი დაიბადა 1938 წელს. სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. უმაღლეს საინჟინრო განათლებასთან ერთად, ინსტიტუტში მან კარგი კომკავშირული წრთობა მიიღო. ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით ჯერ „კოლხეთმშენში“ დაიწყო მუშაობა, შემდეგ „ხორცკარაქთევზაჭრობის“ ბაზის მთავარი ინჟინერი იყო.

1965 წლიდან დ. ბერაია მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე, იყო კომკავშირის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, ბოლოს ფოთის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

ფოთის საზოგადოებრიობა მუდამ დიდი პატივისცემით მოიგონებს გამორჩეული, უაღრესად ნაყოფიერი მუშაკის, კეთილშობილი მეგობრის, სამაგალითო პიროვნების დემურ ბერაიას სახელს.

საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტი; სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი; საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი.

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲦᲐᲠᲓᲕᲔᲚᲘ. ᲕᲘᲜ ᲐᲒᲔᲑᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ?

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲡᲐᲒᲢᲝᲛᲝᲛᲑᲘᲚᲝ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ Ო. ᲛᲔᲮᲘᲫᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ გამოგზავნილ პასუხში ნათქვამია: გაზეთ „ქომუნისტის“ 5 მაისის ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი სათაურით „გზაზე მიტოვებული სატკეპნი“. თიანეთ-ახმეტა-ყვარელ-ინგირის საავტომობილო გზის 105-ე კილომეტრზე დატოვებულ სატკეპნ მანქანას, რომელიც ეკუთვნის ჩვენივე სამინისტროს № 9 ხიდების სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს, შეეჯახა ავტომანქანა „ვაზ 2103“, რის შედეგადაც გარდაიცვალა ერთი მგზავრი, ხოლო მძღოლი და ორი მგზავრი დაშავდნენ.

საავტომობილო გზების სამინისტროს კოლეგიამ განიხილა აღნიშნული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა და ამ საქმეში დაშვებული დაუდევრობისა და უკონტროლობისათვის მკაცრად დასაჯა № 9 ხიდების სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ხელმძღვანელობა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი.

სამმართველოს უფროსს ჰ. სახიაშვილს გამოეცხადა საყვედური, ხოლო მთავარ ინჟინერს ი. გოტაძეს — სასტიკი საყვედური. ასევე სასტიკი საყვედური გამოეცხადა სამმართველოს მთავარ მექანიკოსს თ. ამირანაშვილს. თანამდებობიდან განთავისუფლებულია სამმართველოს სახაზო მექანიკოსი ვ. ერისთავი და უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი ე. ხარებაშვილი, სატკეპნი მანქანის მძღოლი ვ. სუჩენკო მიეცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ამხ. დიმიტრი ერმალოს ძე **ᲛᲐᲠᲯᲐᲚᲘᲢᲐᲫᲔ** საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებთან.

რედაქტორი
გ. ᲫᲔᲓᲘᲜᲔᲘᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

„ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ“ № 5

ნომერში მკითხველი გაეცნობა კ. სტანისლავსკის ჩანაწერებს უბის წიგნაკებში — „აზრები თეატრზე“.

კ. გამსახურდიას დაბადების 90 წლისთავს ეძღვნება ჟურნალში გამოქვეყნებული შემდეგი წერილები: გ. მაღულარიას „დიდოსტატი“, ო. თაქთაქიშვილის „სათაყვანო მწერალი“, ვ. ტაბლაშვილის „მოგონებები დიდ მწერალზე“, ვ. კიკაძის „კონსტანტინე გამსახურდიას ერთი პიესის გამო“.

არქიტექტურული კადრების მომზადებისა და პრობლემების შესახებ მკითხველებს თავის მოსაზრებებს აცხობს გ. ბერიძე. ჟურნალში გამოქვეყნებულია აგრეთვე ა. ერქომაიშვილის, ზ. აზგურის, ლ. თაბუკაშვილის, ლ. დოლონაძის, ნ. ოქროსცვარიძისა და ი. ქურდაძის, გ. ორჯონიკიძის, გ. გვახარიას, გ. დოლიძის, ა. გეგეჭკორის, ი. ციცუშვილის საინტერესო წერილები ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა საკითხზე. აქვე გაეცნობით ა. გეწაძის ახალ პიესას „სიყვარულის ზაფანგი“.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

4 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 — დოკუმენტური ფილმები. 10.20 — „სპორტლოტო“. 10.30 — ბავშვებს მხეცების შესახებ. 11.00 — თქვენთვის მშობლებო! 11.30 — ა. ს. პუშკინი — „ბრინჯაოს მხედარი“. 12.00 — „შეხვედრა თოვლიან მთებში“. III სერია. 13.15 — მეცნარეთა სამყარო. 14.00 — „შენ გახსოვს, ამხანაგო...“. 15.00 — „ცისარტყელა“. იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნება. 15.30 — ახალი ამბები. 15.45 — ფილმი — ბავშვებს. 17.00 — გესაუბრებათ ვ. პ. ბეკეტოვი. 17.30 — აშკარა-დაუჯერებელი. 18.30 — თანამგზორობა. 19.00 — ფეხბურთი. „სპარტაკი“ — „არარატი“. 20.45 — მულტფილმი. 20.50 და 22.35 — ტელესპექტაკლი „ახალგაზრდა მეუღლეთა ამბავი“. 22.00 — „ვრემია“. 23.50 — საესტრადო მუსიკალური გადაცემა. 00.55 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.30 — კონცერტი. 10.00 — მხატვრული ფილმი „შემთხვევითი მგზავრები“. 11.15 — დილის ფოსტა. 11.45 — კეთილშეევის ტელესტუდიის პროგრამა. 13.00 — პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა შეხვედრა სპორტის დამსახურებულ ოსტატთან შ. კარაპეტიანთან. 13.45 — მღერის გ. ვასილიევი. 14.00 — მოგზაურთა კლუბი. 15.00 — ცხოვრების საგზური. 15.45 — ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში. 16.25 — საერთაშორისო მიმოხილვა. 16.40 — „მივლინება ანტარქტიდაში“. მე-4 გადაცემა. 17.05 — მუსიკალური კიოსკი. 17.35 — ჯანმრთელობა. 18.00 — საერთაშორისო შეჯიბრება აკადემიურ ნიჩბოსნობაში „დიდი მოსკოვური რეგატა“. 18.55 — მუსიკა თეატრში, კინოსა და ტელევიზიაში. 20.40 — დოკუმენტური ფილმი „ვოლგა“. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — ფეხბურთი. „შახტიორი“ — მოსკოვის „ტორპედო“. მე-2 ტაიმი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ტელეფილმი „საბრალო მაშა“. I და II სერია.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — კინონარკვევი „ოცნების უფლება“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 — შეეხსენოთ ქართული ენა. 11.00 — მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“ — მხატვრული ფილმი „ვიტიაზე, მაშასა და საზღვაო ქვეით ჯარზე“. 12.10 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 12.15 — „ვერნისაჟი“ (პორტრეტის ხელოვნება). 12.45 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“ სატელევიზიო ჟურნალი. 13.30 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 13.35 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სამსახურში მივდივარ“. 14.00 — მულტიპლიკაციური ფილმი. 14.15 — „კვარტეტის ისტორიიდან“. 14.55 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. 15.40 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 15.45 — ევროპის პირველობა კალათბურთში, ფინალური ჯგუფების მანაწილეთა მატჩი (მამაკაცები)— (გადაცემა საფრანგეთიდან). 16.25 — „კინოაფიშა“. 16.50 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა. 17.30 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 17.35 — ბავშვებისათვის — კონცერტი „ცეკვავს „არმაზი“. 18.10 — ახალგაზრდობისათვის — „უჩვეულო ინტერვიუ“ — „პაატა ხელაშვილი. 18.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „საუკუნის ძახილი“. 19.00 — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის — „კინოსტუდია „მოსფილმი“ გუშინ, დღეს („მოსფილმის“ დღეები საქართველოში). 20.00 — „მოამბე“. 20.30— „ცეროდენას ეკრანი“. 20.55 — ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმი თბილისში. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 22.40 — კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი „ბნელ ოთახში“. 00.10 — გასართობი პროგრამა „რიტმი, რიტმი, რიტმი“ („რაფაელა კარა მოგზაურობს“).

ᲙᲝᲛ